

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2016

კვლევა განხორციელდა ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით



ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.

აკრძალულია ანგარიშში მოცვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

კვლევაზე მუშაობდნენ:

ლევან ავალიშვილი
გიორგი კლდიაშვილი
ნინო მერებაშვილი
გოგა თუშურაშვილი
თამარ იაკობიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
ა. გრიბოედოვის ქ. № 3
საქართველო, თბილისი, 0108
ტელ: + 995 32 2 92 15 14
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-მისამართი: www.idfi.ge

სარჩევი	
წინასიტყვაობა.....	3
საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა 2010-2016 წლებში.....	3
2010-2016 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა	11
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ტენდენციები.....	12
2010-2016 წლების ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები	13
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2016 წელს.....	14
მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია	14
<i>2016 წელს მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა</i>	<i>17</i>
ყველაზე დახურული ინფორმაცია 2016 წელს.....	19
საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები.....	21
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი 2016 წელს	23
ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები.....	24
არაანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები.....	26
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით	28
ცენტრალური საჯარო დაწესებულებები.....	28
საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები.....	31
სახელმწიფო უნივერსიტეტები	35
რეგიონული ორგანოები - მერია, გამგეობა, საკრებულო და გუბერნატორის ადმინისტრაცია	36
სასამართლო პრაქტიკა და მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი განსაკუთრებით პრობლემური საკითხები	40
IDFI v საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თანამდებობის პირთა პრემიები და დანამატები.....	41
IDFI v შემოსავლების სამსახური თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და საგადასახადო საიდუმლოება.....	44
IDFI v. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.....	45
ადმინისტრაციული ხარჯები	45
IDFI v იუსტიციის სამინისტრო სამსახურებრივი ელ. ფოსტის საშუალებით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაცია	47
IDFI v თბილისის საქალაქო სასამართლო სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა	48
დასკვნა.....	50
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი 2016 წელს	53

წინასიტყვაობა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) 2010 წლიდან ახორციელებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგს საქართველოში. წლების განმავლობაში IDFI-ის მიერ წარმოებულმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგმა დიდი როლი ითამაშა საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების განვითარებაში, ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების დადგენაში, საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი მექანიზმების შემუშავებაში, საქართველოში საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და ღია მმართველობის განვითარებაში.


წინამდებარე ანგარიშში წარმოგიდგენთ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის შეფასებას 2016 წლის მონაცემებით და ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით IDFI-ის სტრატეგიული სამართალწარმოების პრაქტიკას, ისევე როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემის ტენდენციების ანალიზს 2010-2016 წლებში.

საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა 2010-2016 წლებში

IDFI-ის მიერ 2010-2016 წლებში განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, საჯარო დაწესებულებებში სულ გაიგზავნა **37 582** საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადება, საიდანაც პასუხი მიღებულია **30 729** მოთხოვნაზე.

IDFI-ის მიერ 6 წლის განმავლობაში წარმოებული სტატისტიკის მიხედვით იკვეთება, რომ ეტაპობრივად იზრდებოდა საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე გაცემული პასუხების რაოდენობა. შესაბამისად, მატულობდა ინსტიტუტის მიერ მიღებული და 2010 წელს შექმნილ ვებ-გვერდზე (www.opendata.ge) განთავსებული ინფორმაციის ოდენობაც, რაც საშუალებას აძლევს ვებ-გვერდის სტუმარს მიიღოს მეტი ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მისი ინტერესის საგანს წარმოადგენს.


საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
 მონიტორინგის შედეგებითი ანალიზი



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაგზავნილ მოთხოვნებსა და მიღებულ პასუხებს შორის არსებული პროცენტული თანაფარდობის დინამიკა ხასიათდებოდა ხშირი ცვალებადობით. კერძოდ, 2010 წელს გაგზავნილ მოთხოვნების მხოლოდ 44%-ის შემთხვევაში იქნა მიღებული პასუხი. 2011 წლის პროექტის ფარგლებში აღნიშნული მაჩვენებელი 76%-მდე გაიზარდა, ხოლო შემდგომ წელს გაცემული პასუხების მაჩვენებელი 68%-მდე შემცირდა.

2010-2016 წლებში IDFI-ის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (90%) 2013 წელს ფიქსირდება. 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 82%-მდე შემცირდა, ხოლო 2015 წელს დაკმაყოფილებული განცხადებების მაჩვენებელმა 86%

შეადგინა. 2016 წელს მიღებული პასუხების რაოდენობა კვლავ შემცირდა და 85% შეადგინა.



ინსტიტუტი მიღებულ პასუხებს და საჯარო დაწესებულებების ქმედებებს შემდეგი კატეგორიებით აფასებდა:

- **სრულყოფილი პასუხი** - მოთხოვნის პასუხად მიღებული ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს დასმულ საკითხზე ამომწურავ პასუხს;
- **არასრულყოფილი პასუხი** - განცხადების პასუხად მიღებული გარკვეული ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს მოთხოვნილ საკითხს;
- **უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე** - საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარი, შესაბამისი დასაბუთებით, რომელიც ინტიტუტის შეხედულებით არ არის მისაღები;
- **უპასუხო** - საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული უმოქმედობა, რაც გამოიხატა ინფორმაციის მოწოდებისგან თავის არიდებაში. აღნიშნული, სამართლებრივად გათანაბრებულია უართან, მაგრამ IDFI განცალკევებულად აწარმოებს მსგავსი შემთხვევების სტატისტიკას;
- **ინფორმაცია დაწესებულებას არ აქვს/კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებია** - საჯარო დაწესებულების განმარტება, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი მასთან არ ინახება, ინსტიტუტის მოთხოვნა გადამისამართდა სხვა დაწესებულებაში, ან უწყების მიერ არ განხორციელებულა შესაბამისი ქმედება.

ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებში ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ის პასუხები, სადაც ისინი იუწყებიან, რომ მათ ინფორმაცია არ გააჩნიათ, ან კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებიათ.

საინტერესო ტენდენცია იკვეთება 2010-2016 წლებში საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების შედარებისას. სრულყოფილი პასუხების ყველაზე დაბალი (33%), ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე მაღალი (48%) მაჩვენებლები 2010 წელს განხორციელებული პროექტის ფარგლებში ფიქსირდება. 2010 წლის შემდგომ ყოველ მომდევნო წელს სრულყოფილად გაცემული პასუხების რაოდენობა ჭარბობდა უპასუხო მოთხოვნებს.

საშუალოდ 2010-2016 წლების განმავლობაში სრულყოფილად გაცემული პასუხების წილი შეადგენს 60%-ს, თუმცა, როგორც დიაგრამაზე ჩანს, წლების მიხედვით სურათი ხშირად იცვლებოდა.


მიუხედავად იმისა, რომ უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების რაოდენობა შედარებით შემცირებულია, საშუალოდ 7 წლის განმავლობაში უპასუხოდ რჩებოდა მოთხოვნების მეოთხედზე მეტი (26,5%), რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

დადებითი ტენდენცია ჩანს არასრულყოფილი პასუხებისა და უარის შემთხვევაში. არასრულყოფილმა პასუხებმა ყველაზე მაღალ მაჩვენებელს (16%) 2012 წელს მიაღწია, თუმცა 2013 წლის შემდეგ 8%-ზე მეტი არ ყოფილა. რაც შეეხება უარს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, თუკი პროექტის პირველ წელს ასეთი შემთხვევები 5% იყო, 2016 წელს მაჩვენებელი 0,4%-მდე ჩამოვიდა.

თუკი შევადარებთ 2010 წლისა და 2016 წლის მონაცემებს, ირკვევა რომ სრულყოფილად გაცემული პასუხების პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა 2,2-ჯერ, უპასუხო მოთხოვნები შემცირდა 2,4-ჯერ, არასრულყოფილი შემცირდა 2-ჯერ, ხოლო უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე 5%-დან 0,4%-მდე შემცირდა. **ვფიქრობთ, რომ ამ პოზიტიური ტენდენციის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლებელია იყოს IDFI-ის მხრიდან საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მუდმივ მონიტორინგში, ცნობიერების ამაღლების აქტივობებში, აგრეთვე ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფისთვის გამორჩეული უწყებების წახალისების დამკვიდრებულ ტრადიციაში.**

თუმცა, წლების მიხედვით პრაქტიკა ხშირად იცვლება, 2016 წელს გაგზავნილი მოთხოვნების მეხუთედი კვლავაც უპასუხოდ დარჩა, ხოლო ზოგიერთი უწყება, რომელსაც წინა წლებში გამჭვირვალობის მაღალი მაჩვენებელი ქონდა, სრულიად გაუმჭვირვალე გახდა. აღნიშნული მეტყველებს როგორც ინფორმაციის გაცემის კუთხით მონიტორინგის, ისე ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირების გაგრძელების აუცილებლობაზე.

საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხები



ასევე საინტერესოა 2010-2012 და 2013-2016 წლების მდგომარეობის შედარება, რაც სხვადასხვა ხელისუფლების დროს საჯარო ინფორმაციის გაცემის ტენდენციებს გვაჩვენებს.


როგორც მონიტორინგმა აჩვენა, ახალი ხელისუფლების საქმიანობის საწყის ეტაპზე (2013 წელს) პოლიტიკური ცვლილებები დადებითად აისახა სახელმწიფო დაწესებულებების ანგარიშვალდებულებაზე და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. კერძოდ, ამ პერიოდში სრულყოფილად გაცემული პასუხების მაჩვენებელი 45%-დან 79%-მდე გაიზარდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 36%-დან 12%-მდე შემცირდა.

სამწუხაროდ, მომდევნო პროექტის ფარგლებში IDFI-ის მიერ განხორციელებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგით ნათლად გამოჩნდა, რომ მთელი რიგი საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხის გაუმჯობესება დაკავშირებული იყო ახალი ხელისუფლების მოღვაწეობის საწყის ეტაპთან, როდესაც საჯარო დაწესებულებების მიერ რაიმე სახის ინფორმაციის დამალვის სურვილი ნაკლებად არსებობდა. კერძოდ, პოლიტიკური ცვლილებების საწყის ეტაპზე საჯარო დაწესებულებების მიერ სრულყოფილად გაცემული პასუხების 79%-იანი მაჩვენებელი შემდგომ წელს (2014) 66%-მდე შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 26%-მდე გაიზარდა.

2010-2016 წლებში განხორციელებული პროექტების ფარგლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განსხვავებული ტენდენციები გამოიკვეთა საჯარო დაწესებულებების კატეგორიების მიხედვითაც.

სამინისტროების შემთხვევაში 2010-2012 წლებში განხორციელებული პროექტების განმავლობაში სრულყოფილად გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ 46%-ს შეადგენდა. 2013 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 88%-მდე გაიზარდა. თუმცა, მომდევნო პროექტებში მთელი რიგი სამინისტროების მხრიდან არ იქნა გაცემული ის ინფორმაცია, რაც დეტალურად გასაჯაროვდა მათ მიერვე 2013 წლის დასაწყისში. აღნიშნული უარყოფითად აისახა სრულყოფილად გაცემული პასუხების მაჩვენებელზე და 2014 წელს 76%-მდე, ხოლო 2015 წელს 75%-მდე შემცირდა. 2016 წელს სრულყოფილი პასუხების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით ოდნავ გაუმჯობესდა და 78% შეადგინა.


შესაბამისად მერყეობდა სამინისტროების მიერ უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მაჩვენებელიც. 2013 წელს უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების 4%-ნი მაჩვენებელი, შემდგომ წელს (2014) 9%-მდე, ხოლო 2015 წელს 15%-მდე გაიზარდა. 2016 წელს უპასუხო მოთხოვნების რაოდენობა კვლავ 15% შეადგენს.



სამინისტროებს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების შემთხვევაშიც, სრულყოფილად გაცემული პასუხების ყველაზე დაბალი (49%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე მაღალი (33%) მაჩვენებლები 2012 წელს, ხოლო სრულყოფილად გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი (86%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი (5%) მაჩვენებლები 2013 წელს ფიქსირდება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2014 წლიდან, პოლიტიკური ცვლილებების საწყის ეტაპზე არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებლის გაუარესებაში,

განსაკუთრებული როლი ითამაშა მთელი რიგი უწყებების მხრიდან ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი მოთხოვნების უპასუხოდ დატოვებამ, რაც სამართლებრივად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარს გულისხმობს. კერძოდ, 2014 წელს სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების სრულყოფილად გაცემული პასუხების მაჩვენებელი 69%-მდე შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 23%-მდე გაიზარდა. 2015 წელს კვლავ გაგრძელდა უარყოფითი ტენდენცია და სრულყოფილი პასუხების მაჩვენებელმა - 61%, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მაჩვენებელმა 30% შეადგინა. 2016 წელს მდგომარეობა მცირედით გაუმჯობესდა და სრულყოფილი პასუხების რაოდენობა გაიზარდა 66%-მდე, ხოლო უპასუხო მოთხოვნები შემცირდა 29%-მდე.




2011-2012 წლებში განხორციელებული პროექტების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან სრულყოფილად გაცემული პასუხები 50%-დან 53%-მდე მერყეობდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 36%-დან 38%-მდე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფრო მაღალი ანგარიშვალდებულებით გამოირჩეოდნენ, ვიდრე ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულებები.

2013 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სრულყოფილად გაცემული პასუხების მაჩვენებელი 73%-მდე გაიზარდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 20%-მდე შემცირდა. 2014 წელს სრულყოფილად გაცემულმა პასუხებმა 60%, ხოლო უპასუხოდ დატოვებულმა მოთხოვნებმა 35% შეადგინა.

2015 წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებლის გაუმჯობესება უმეტესწილად განპირობებულია ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებიდან სრულყოფილად გაცემული პასუხების მნიშვნელოვანი მატებით. 2015 წელს თვითმმართველი ერთეულებიდან სრულყოფილად გაცემული პასუხები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 11%-ით, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები შემცირდა 14%-ით. პოზიტიური ტენდენცია შენარჩუნდა 2016 წელსაც, როდესაც სრულყოფილმა პასუხებმა 74%, ხოლო უპასუხო მოთხოვნებმა - 19% შეადგინა.


აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადგილობრივ თვითმმართველობების არჩევნები გაიმართა 2014 წლის ზაფხულში, შესაბამისად 2015 წლის პროექტი დაემთხვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში განხორციელებული პოლიტიკური ცვლილებების საწყის ეტაპს. შესაბამისად, ცენტრალური ხელისუფლების მსგავსად, აქაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არჩევნებმა დადებითი, თუმცა მაინც ცვალებადი შედეგი იქონია ინფორმაციის გასაჯაროებაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითმმართველი ერთეულები ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც 2016 წელს სრულყოფილი პასუხების რაოდენობა (74%) აჭარბებს ყველა წინა წლის მონაცემს. ასევე, უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების შემთხვევაშიც (19%) წინა წლებთან შედარებით 2016 წელს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.



2010-2016 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ. ამავ დროს, თუ ინფორმაცია მოითხოვს დამუშავებას, საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს 10 დღიანი ვადა. იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტის მიერ 2010-2016 წლებში ხშირ შემთხვევაში მოთხოვნილი იყო დიდი მოცულობის ინფორმაცია, სტატისტიკის წარმოებისთვის ვადის დაცვად მიჩნეულ იქნა ათი სამუშაო დღე, მიუხედავად იმ ფაქტისა დაწესებულებამ მოითხოვა თუ არა 10 დღიანი ვადა ინფორმაციის გასაცემად.


2010-2016 წლებში განხორციელებული პროექტების მიხედვით პროცენტულად ყველაზე მეტი პასუხი (75%) 10 დღიანი ვადის დაცვით ინსტიტუტისათვის მოწოდებულია 2015 წელს. 10 დღიანი ვადის დაცვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (22%) დაფიქსირდა 2010 წელს ინსტიტუტის მიერ განხორციელებული საპილოტე პროექტის ფარგლებში. **2016 წელს წინა წლებთან შედარებით ვადების დაცვის მაჩვენებელი საგრძნობლად გაუარესდა და მხოლოდ 56% შეადგინა.**



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ტენდენციები


2011 წლიდან IDFI-იმ დაამკვიდრა პრაქტიკა, რომლის მიხედვით მონიტორინგის ფარგლებში წარმოებულ სტატისტიკურ მონაცემთა საფუძველზე აჯილდოებდა საჯარო დაწესებულებებს შესაბამისი სიგელებით. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნული ტრადიცია ხელს უწყობდა დაწესებულებებს შორის ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას და ჯანსაღ კონკურენციას. 2011 წლიდან შესაბამისი სიგელები გადაეცემოდათ იმ უწყებებს, რომლებიც სრულყოფილად პასუხობდნენ ინსტიტუტის მიერ გაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს, აგრეთვე იმ დაწესებულებებს რომლებიც ვერ უზრუნველყოფდნენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინსტიტუტის მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის დაჯილდოებული დაწესებულებების რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები წლების მიხედვით განსხვავებულია, წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ ინსტიტუტის მიერ დამკვიდრებული დაჯილდოების ტრადიცია ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტ საჯარო დაწესებულებას უზრდიდა მოტივაციას ინსტიტუტის ყველა მოთხოვნაზე გაეცა სრულყოფილი პასუხი კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით. 2016 წელს დაჯილდოებული უწყებების რაოდენობა მცირედით შემცირდა და 55 შეადგინა.



2010-2016 წლების ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2011 წლიდან IDFI ასახელებდა ისეთ უწყებებს, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ ანგარიშვალდებულებით, არ ასრულებდნენ მათზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებას და არ უზრუნველყოფდნენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ყველაზე ცოტა (4) საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვისათვის დასახელდა 2013 წელს, ხოლო რეკორდულად მაღალი რაოდენობა (25) – 2016 წელს.



2012 წლიდან ინსტიტუტის მიერ განხორციელებული ყოველწლიური მონიტორინგის ფარგლებში სახელდებოდა კონკრეტული საჯარო დაწესებულებები რომლებიც არანაგარიშვალდებულებით ხასიათდებოდნენ. თუმცა, 2016 წელს, მონიტორინგის შედეგად, ყველაზე დახურულ იწყებად დასახელდა არა რომელიმე კონკრეტული საჯარო დაწესებულება, არამედ იუსტიციის სამინისტროს მთლიანი სისტემა.

ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები	
2012	• თავდაცვის სამინისტრო
2013	• ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია
2014	• სასჯელაღსრულების დეპარტამენტი
2015	• ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2016	• იუსტიციის სამინისტროს სისტემა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2016 წელს

2016 წელს საქართველოს საჯარო დაწესებულებებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკა, IDFI-ის მიერ, გაანალიზებულია საქართველოს **294 საჯარო დაწესებულებისათვის** გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების მიხედვით. დაწესებულებები, სადაც ჩვენს მიერ გაიგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები, შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- **29** ცენტრალური საჯარო დაწესებულება (პარლამენტი, პრეზიდენტის და მთავრობის ადმინისტრაცია, სამინისტროები, აჭარის ა/რ-ის მთავრობა და სამინისტროები);
- **71** სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ -ი და საქვეუწყებო დაწესებულება;
- **28** დამოუკიდებელი ორგანო (დამოუკიდებელი სსიპ-ები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა);
- **142** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანო (მერია, გამგეობა, საკრებულო);
- **9** გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- **10** სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- **5** სხვა საჯარო დაწესებულება (3 სასამართლო, 1 ააიპ და 1 სახელმწიფო შპს).

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

2016 წელს IDFI-იმ 294 საჯარო დაწესებულებას სულ გაუგზავნა საჯარო ინფორმაციის 7 430 მოთხოვნა. მოთხოვნები მოიცავდა იმგვარ ინფორმაციას, რომლის მოლოდინიც, რომ იგი შეიძლება წარმოადგენდეს საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას ან დახურულ პერსონალურ მონაცემებს არ არსებობდა.

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტმა საჯარო დაწესებულებებს გაუგზავნა სტანდარტული შინაარსის კითხვები (განცხადებები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით). სხვადასხვა დაწესებულებას აღნიშნული კითხვები განსხვავებული სახით გაეგზავნა. სტანდარტული შინაარსის კითხვების შედგენისას, IDFI-ის მიერ გათვალისწინებული იქნა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით განსაზღვრული და პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც მთელ რიგ დაწესებულებებს განთავსებული აქვთ საკუთარ ვებ-გვერდებზე.¹

¹ბოლო წლებში, საქართველოს კანონმდებლობაში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მხრივ, რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა. კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გამტკიცდა ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტრონული ფორმით გამოთხოვის ცნებები. შესაბამისად, საჯარო დაწესებულებებს დაეკისრათ ვალდებულება დადგენილი წესით საკუთარ ელექტრონულ რესურსზე გამოაქვეყნონ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაცია. მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ. აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არეგულირებს ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორცაა გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ჩამონათვალი,

IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებისათვის გაგზავნილი სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები ძირითადად დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული ხარჯების განკარგვასთან, საკადრო უზრუნველყოფასთან, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობასთან და მმართველობის სხვა საკითხებთან.

2016 წელს IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი სტანდარტული მოთხოვნები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- გადაუდებელი აუცილებლობით განპირობებული შესყიდვები;
- სარეკლამო ხარჯები;
- პრემიები;
- სახელფასო დანამატები;
- სამივლინებო ხარჯები;
- როუმინგის ხარჯები ;
- წარმომადგენლობითი ხარჯები;
- ავტომობილების შესყიდვა;
- საწვავის მოხმარების ხარჯები;
- შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება;
- საკონსულტაციო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;
- შტატით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა;
- განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა განთავისუფლების მიზეზების მიხედვით;
- ხელმძღვანელის მრჩევლების სამუშაო გამოცდილება (CV);
- თანამდებობის პირებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტები და მოხსენებითი ბარათები;
- ხელმძღვანელის მრჩევლების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში დასაქმებულები და მათი შრომის ანაზღაურება;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისათვის გამართული შეხვედრების რაოდენობა და გაწეული ხარჯები;
- გამართული საჯარო კონსულტაციების რაოდენობა;

გამოქვეყნების ვადები, განსაზღვრულია ის საჯარო დაწესებულებები, რომლებზეც ვრცელდება მოცემული ვალდებულება და სხვა.

- რეფორმის შემუშავების პროცესში კერძო და არასამთავრობო სექტორთან კომუნიკაციისა და პროცესში ჩართულობის სტრატეგია;
- მიმდინარე რეფორმების განხორციელების ეტაპები და მუშაობის პროცესში კერძო და არასამთავრობო სექტორის ჩართულობის მიზნით განხორციელებული შეხვედრები;

ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის დამატებით გაგზავნილი იქნა აგრეთვე შემდეგი სტანდარტული მოთხოვნები:

- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების და შპს-ების რაოდენობა;
- ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა;
- ა(ა)იპ-ების და შპს-ების საშტატო ნუსხები;
- ა(ა)იპ-ების და შპს-ების ფინანსური და საქმიანობის ანგარიშები;
- ააიპ-ების და შპს-ების მიერ (ცალ-ცალკე) შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ორგანიზებით ჩატარებული გამოკითხვები და საზოგადოებრივი განხილვები;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მოთხოვნით ჩატარებული საკრებულოს ბიუროსთან ერთობლივი სხდომები;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი პეტიციები, პროექტები, რეკომენდაციები;
- საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშები;
- საკრებულოსთვის გადმოგზავნილი 2015 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში;
- თვითმმართველობის კოდექსის 85 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად მიღებული სამართლებრივი აქტები.

სახელმწიფო უნივერსიტეტების შემთხვევაში დამატებით გაგზავნილი იქნა შემდეგი მოთხოვნები;

- სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდით მიღებული შემოსავლები;
- სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე დახარჯული თანხები;
- სტუდენტური თვითმმართველობების წარდგინებით დაფინანსებული ღონისძიებები;
- გაცვლითი პროგრამების ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნილი სტუდენტები;
- წარჩინებული სტუდენტებისათვის სტიპენდიების გაცემაზე გაწეული ხარჯები;

- საზღვარგარეთიდან მიღებული გრანტები;
- კურსდამთავრებულების დასაქმების სტატისტიკური მონაცემები.


სტანდარტული მოთხოვნების გარდა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებას დამატებით გაეგზავნათ მოთხოვნები ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც უშუალოდ მათი საქმიანობის სფეროს შეეხებოდა, ასევე ის შეკითხვები რომლებსაც ინსტიტუტს მოქალაქეები და დაინტერესებულ პირები აწვდიდნენ. ასეთი არასტანდარტული შეკითხვების მაგალითებია: საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაცემული სახელმწიფო ჯილდოები; ცხინვალისა და აფხაზეთის ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვრებთან უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების სტატისტიკური მონაცემები; საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია; საქართველოს პარლამენტის წევრების დროებით მფლობელობაში გადაცემულ ავტომობილებზე დაკისრებული ვიდეო ჯარიმები; ზაფხულის ოლიმპიადაზე მონაწილე ქართველი სპორტსმენებისათვის სამოსის შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და სხვა.

2016 წელს მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა

IDFI-იმ 294 საჯარო დაწესებულებისათვის გაგზავნილ 7 430 მოთხოვნაზე, სრულყოფილი პასუხი მიიღო 4 458 განცხადებაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 404 მოთხოვნაზე, უარს ადგო 3 ქონდა 26 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 1 139 მოთხოვნა, ხოლო 1 403 შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება, ან არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებში და ასევე საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცენტული მაჩვენებლების შედგენისას, ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული იმგვარი პასუხები, სადაც ისინი იუწყებიან, რომ მათ ინფორმაცია არ გააჩნიათ ან კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებიათ. შესაბამისად, 294 უწყების შემთხვევაში, მონაცემები წარმოდგენილია ინსტიტუტის მიერ გაგზავნილ 6 027 განცხადებაზე მიღებული პასუხების მიხედვით.


გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები



ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებიდან, დაწესებულებების კატეგორიების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მეტი მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს სამინისტროებს დაქვემდებარებულმა სსიპ-ებმა და საქვეუწყებო დაწესებულებებმა. აღნიშნულ უწყებებს, 2016 წელს, სულ გაეგზავნათ 1540 მოთხოვნა, საიდანაც 443 შეკითხვა უპასუხოდ იქნა დატოვებული, ხოლო 8 შემთხვევაში ინსტიტუტს ეცნობა უარი ინფორმაციის მოწოდებაზე.

გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები დაწესებულებების სახეების მიხედვით

■ სრულყოფილი ■ არასრულყოფილი ■ უპასუხო ■ უარი




ყველაზე დახურული ინფორმაცია 2016 წელს

განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა საინტერესო მაჩვენებლები იმ სტანდარტულ შეკითხვებთან მიმართებაში, რომლებზეც პასუხები საჯარო დაწესებულებათა მხრიდან არ იქნა გაცემული (უპასუხოდ იქნა დატოვებული ან მიღებული იქნა უარი). საჯარო დაწესებულებების (რეგიონული უწყებების გარდა) ყველაზე დიდმა ნაწილმა (33%) უპასუხოდ დატოვა თანამდებობის პირებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების, შესაბამისი დანართებისა და მოხსენებითი ბარათების ასლების შესახებ ინსტიტუტის მოთხოვნა.


რიგით მეორე, ყველაზე დახურულ ინფორმაციას, წარმოადგენს კანონპროექტის/რეგულაციის/რეფორმის შემუშავების პროცესში კერძო და არასამთავრობო სექტორთან კომუნიკაციისა და პროცესში ჩართულობის სტრატეგია, რომელიც საჯარო დაწესებულებების 26%-მა დატოვა უპასუხოდ.

განვლილი პროექტის მსგავსად, საჯარო დაწესებულებებისათვის პრობლემატური აღმოჩნდა აგრეთვე, ინსტიტუტის მოთხოვნა ხელმძღვანელის მრჩევლის თანამდებობაზე დანიშნული პირების სამუშაო გამოცდილების (CV) და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლების შესახებ.



2016 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისათვის (მერია/გამგეობა) გაგზავნილი სტანდარტული მოთხოვნებიდან, სხვა საჯარო დაწესებულებების მსგავსად, ყველაზე მეტმა უწყებამ (36%) უპასუხოდ დატოვა თანამდებობის პირებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების, შესაბამისი დანართებისა და მოხსენებითი ბარათების ასლების შესახებ ინსტიტუტის მოთხოვნა.


ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისათვის რიგით მეორე პრობლემურ მოთხოვნას წარმოადგენდა გაწეული სარეკლამო ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა .



ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითი ორგანოების (საკრებულო) შემთხვევაში, 2016 წელს ყველაზე მეტმა უწყებამ (31%) უპასუხოდ დატოვა საკრებულოს წევრების ანგარიშების შესახებ ინსტიტუტის მოთხოვნა.


საკრებულოებისათვის პრობლემური აღმოჩნდა აგრეთვე, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მოთხოვნით ჩატარებული საკრებულოს ბიუროსა და სამოქალაქო მრჩეველთა კომიტეტის ერთობლივი სხდომების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა, რომელიც 23%-მა უპასუხოდ დატოვა.

მოთხოვნები, რომელიც ყველაზე მეტმა საკრებულომ დატოვა უპასუხოდ




საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები

2016 წელს პროექტის ფარგლებში საჯარო დაწესებულებისათვის გაგზავნილი 7 430 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნიდან, IDFI-იმ 4 161 შემთხვევაში ინფორმაცია მიიღო 10 დღიანი ვადის დაცვით. ამავე დროს, უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ჩათვლით, 3 269 შემთხვევაში დაირღვა კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადა.



თუ დავუშვებთ, რომ საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაცემულია იმ შემთხვევაში,

თუ განმცხადებელს იგი მოთხოვნიდან 3 დღეში მიეწოდა, მაშინ ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მიერ დაუყოვნებლივ გაცემულმა მოთხოვნების რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 403. განმცხადებების რაოდენობა რომელზეც მოითხოვეს 10 დღიანი ვადა და აღნიშნულ ვადაში უზრუნველყვეს ინფორმაციის მოწოდება, შეადგენს 1653-ს. საჯარო დაწესებულებების მიერ 524 შემთხვევაში მოთხოვნილი იქნა 10 დღიანი ვადა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ან უპასუხოდ იქნა დატოვებული, ან მოწოდებულია ვადების დარღვევით. 2 105 შემთხვევაში, არ არის მოთხოვნილი 10 დღიანი ვადა, თუმცა ინფორმაცია მოწოდებულია 4 დან 10 დღემდე პერიოდში, ხოლო 2 745 შემთხვევაში 10 დღიანი ვადის მოთხოვნის გარეშეა დარღვეული კანონმდებლობით დადგენილი ვადები.



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი 2016 წელს

2016 წელს წარმოებული სტატისტიკური მონაცემები საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ საჯარო დაწესებულებათა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგები.

საჯარო დაწესებულებათა აღნიშნული რეიტინგების შედგენისას გამოყენებულ იქნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეფასების მაჩვენებლები, რომლებიც მიღებულია ქვემოთ მოცემული კოეფიციენტების მიხედვით:

მიღებული ინფორმაციის შეფასების კოეფიციენტები	
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად 10 დღიანი ვადის დაცვით	1
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად 10 დღიანი ვადის დარღვევით	0,99
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად 10 დღიანი ვადის დაცვით	0,5
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად 10 დღიანი ვადის დარღვევით	0,49
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ	0,6
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ	0,3
დაუსაბუთებელი უარი ინფორმაციის გაცემაზე	0
მოთხოვნა დატოვებულია უპასუხოდ	0

ანალოგიური მეთოდოლოგიით შეფასებული იქნა საჯარო დაწესებულებებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2012-2015 წლების ფარგლებშიც, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ ტენდენციები კონკრეტული დაწესებულებების მაგალითზე.

ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები

ინსტიტუტის მიერ განხორციელებულმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგმა აჩვენა, რომ 2016 წელს საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით და კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადის დაცვით გასცა 55-მა საჯარო დაწესებულებამ:

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები					
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	საქართველოს პარლამენტის აპარატი	31	31	31	100%
2	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	30	30	30	100%
3	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	26	26	26	100%
4	საჯარო სამსახურის ბიურო	26	26	26	100%
5	საქპატენტი	26	26	26	100%
6	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	26	26	26	100%
7	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	24	24	24	100%
8	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	24	24	24	100%
9	ქალაქ მცხეთის მერია	24	24	24	100%
10	რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	23	23	23	100%
11	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	23	23	23	100%
12	ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	23	23	23	100%
13	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	23	23	23	100%
14	გარემოს ეროვნული სააგენტო	23	23	23	100%
15	თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა	23	23	23	100%
16	არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	22	22	22	100%
17	იურიდიული დახმარების სამსახური	22	22	22	100%
18	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	21	21	21	100%
19	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	21	21	21	100%
20	სტატისტიკის ეროვნული სამსახური	21	21	21	100%
21	აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	21	21	21	100%

22	ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	21	21	21	100%
23	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	20	20	20	100%
24	სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	20	20	20	100%
25	ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი	20	20	20	100%
26	ეროვნული მუზეუმი	20	20	20	100%
27	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	19	19	19	100%
28	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	19	19	19	100%
29	კონკურენციის სააგენტო	19	19	19	100%
30	ქალაქ ზუგდიდის საკრებულო	19	19	19	100%
31	სამეგრელო -ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	19	19	19	100%
32	ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი	18	18	18	100%
33	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	18	18	18	100%
34	სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	18	18	18	100%
35	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	17	17	17	100%
36	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი	17	17	17	100%
37	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი	17	17	17	100%
38	ეროვნული საშენი მეურნეობა	17	17	17	100%
39	პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	17	17	17	100%
40	ქალაქ გორის საკრებულო	17	17	17	100%
41	ქალაქ ახალციხის საკრებულო	17	17	17	100%
42	სამედიცინო უნივერსიტეტი	17	17	17	100%
43	ტექნიკური უნივერსიტეტი	17	17	17	100%
44	თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო	16	16	16	100%
45	თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	16	16	16	100%
46	თვითმმართველი თემი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	16	16	16	100%
47	უშიშროების საბჭოს აპარატი	16	16	16	100%
48	საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ	16	16	16	100%
49	ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი	15	15	15	100%
50	ქარელის საკრებულო	14	14	14	100%
51	ჭიათურის საკრებულო	14	14	14	100%
52	ყვარლის საკრებულო	13	13	13	100%
53	ბაღდათის საკრებულო	12	12	12	100%
54	ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი	11	11	11	100%
55	ონის საკრებულო	10	10	10	100%

არაანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები

2011 წლიდან IDFI ტრადიციულად ასახელებს მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებას. 2016 წელს, განვლილი წლებისგან განსხვავებით ერთი კონკრეტული უწყების ნაცვლად, IDFI-ის მიერ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად დასახელდა მთლიანად იუსტიციის სამინისტროს სისტემა. 2016 წელს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ 12 უწყებას გაეგზავნა 346 მოთხოვნა, საიდანაც პასუხი ინსტიტუტს სამწუხაროდ, არც ერთ მოთხოვნაზე არ მიუღია.

კვლევის ფარგლებში IDFI ასევე შეეცადა გამოერკვია თუ როგორ პასუხობენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებები, თუ ეს მოთხოვნები გაგზავნილი არის მოქალაქეების და არა ჩვენი ორგანიზაციის სახელით. 2016 წლის 8 სექტემბერს ელექტრონული პორტალის my.gov.ge-ის საშუალებით, ინსტიტუტის ერთ-ერთი სტაჟიორის/თანამშრომლის პირადი ანგარიშიდან (ინსტიტუტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითების გარეშე) იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ თითოეულ უწყებას გაეგზავნა სხვადასხვა შინაარსის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები. სამწუხაროდ, მოქალაქის სახელით გაგზავნილი ყველა მოთხოვნაც დღემდე უპასუხოდ არის დატოვებული.

იუსტიციის სამინისტროს სისტემის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება თვალშისაცემია 2014 წლიდან, როდესაც 2013 წლის 95,6%-იანი მაჩვენებელი 48,4%-მდე შემცირდა. 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 3,9%-მდე შემცირდა, ხოლო 2016 წელს 0%-ს შეადგენს.


იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების უფლებამოსილი პირების მხრიდან ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის პრინციპების უგულვებელყოფა განსაკუთრებით გასაკვირია იმის ფონზე, როდესაც იუსტიციის სამინისტრო არის საერთაშორისო ინიციატივის „პარტნიორობა ღია მმართველობისათვის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და ამავე დროს საქართველოს „ინფორმაციის თავისუფლების“ ახალი კანონის პროექტის ინიციატორი უწყება.

ყველაზე დახურული 2016

იუსტიციის სამინისტროს სისტემა

N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	უბასუხო	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	იუსტიციის სამინისტრო	27	27	0%
2	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	29	29	0%
3	საკანონმდებლო მაცნე	29	29	0%
4	იუსტიციის სახლი	29	29	0%
5	აღსრულების ეროვნული ბიურო	29	29	0%
6	მონაცემთა გაცვლის სააგენტო	29	29	0%
7	სმართ ლოჯიკი	29	29	0%
8	საქართველოს ეროვნული არქივი	29	29	0%
9	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	29	29	0%
10	ნოტარიუსთა პალატა	29	29	0%
11	იუსტიციის სასწავლო ცენტრი	29	29	0%
12	დანაშაულის პრევენციის ცენტრი	29	29	0%

იუსტიციის სამინისტროს სისტემის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებლები



2016 წელს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი 12 უწყების გარდა, საქართველოს 294 ადმინისტრაციულ ორგანოს შორის კიდევ 14 დაწესებულება აღმოჩნდა ისეთი, ვინც სრულად უგულებელყო კანონით მათზე დაკისრებული ვალდებულება და უპასუხოდ დატოვა ინსტიტუტის ყველა განცხადება, საჯარო ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით. კერძოდ, IDFI-ის მიერ გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს შემდეგმა საჯარო დაწესებულებებმა:

2016 წლის ყველაზე არა-ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები				
1	შემოსავლების სამსახური	29	29	0%
2	ასპინძის გამგეობა	25	25	0%
3	ბოლნისის გამგეობა	25	25	0%
4	საგარეჯოს გამგეობა	25	25	0%
5	ყაზბეგის გამგეობა	25	25	0%
6	ყვარლის გამგეობა	25	25	0%
7	შუახევის გამგეობა	25	25	0%
8	წალკის გამგეობა	25	25	0%
9	ხონის გამგეობა	25	25	0%
10	ბოლნისის საკრებულო	23	23	0%
11	ყაზბეგის საკრებულო	23	23	0%
12	შუახევის საკრებულო	23	23	0%
13	წალკის საკრებულო	23	23	0%

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით

ცენტრალური საჯარო დაწესებულებები

2016 წელს განხორციელებული კვლევის პერიოდში საქართველოს ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის IDFI-ის ყველა მოთხოვნაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით სრულყოფილი პასუხი გასცა საქართველოს პარლამენტის აპარატმა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, სასაქელაღსრულებლისა და პრობაციის სამინისტრომ, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, აჭარის ა/რ - ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

საქართველოს 29 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას შორის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (0%), საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ (14.7%) და შინაგან საქმეთა სამინისტრომ (33%).

ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი

საჯარო დაწესებულება		მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაიკა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	საქართველოს პარლამენტის აპარატი	31	31	0	0	0	31	100%
2	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	30	30	0	0	0	30	100%
3	სასჯელადასრულებისა და პრობაციის სამინისტრო	26	26	0	0	0	26	100%
4	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	24	24	0	0	0	24	100%
5	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	23	23	0	0	0	23	100%
6	აჭარის ა/რ -ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	21	21	0	0	0	21	100%
7	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	20	20	0	0	0	20	100%
8	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	20	20	0	0	0	0	99%
9	აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	20	20	0	0	0	0	99%
10	აჭარის ა/რ-ის მთავრობა	20	19	1	0	0	20	97,5%
11	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	21	20	1	0	0	0	96,6%
12	პრეზიდენტის ადმინისტრაცია	30	28	2	0	0	8	95,9%
13	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	27	24	3	0	0	27	94,4%
14	საგარეო საქმეთა სამინისტრო	28	25	3	0	0	0	93,6%
15	ენერგეტიკის სამინისტრო	20	17	3	0	0	20	92,5%
16	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	22	19	3	0	0	0	92,2%
17	დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	19	17	1	1	0	19	92,1%
18	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	21	19	1	1	0	0	91,9%
19	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	24	21	0	1	2	23	87,5%
20	ფინანსთა სამინისტრო	29	22	4	0	3	2	81,9%
21	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	26	19	4	2	1	25	80,8%
22	თავდაცვის სამინისტრო	27	20	3	0	4	3	78,9%
23	აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	28	18	2	0	8	0	67,1%
24	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	29	17	3	0	9	0	63,1%
25	აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	28	16	0	0	12	16	57,1%

26	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	29	13	6	1	9	0	54,5%
27	შინაგან საქმეთა სამინისტრო	48	15	2	0	31	1	33%
28	მთავრობის ადმინისტრაცია	27	4	0	0	23	0	14,7%
29	იუსტიციის სამინისტრო	27	0	0	0	27	0	0%

ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკში, მოცემულია 2016 წელს ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცენტული მაჩვენებლის ცვლილება განვლილ წლებთან შედარებით. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეგრესის თვალსაზრისით იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, გამორჩეულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, რომელმაც 2015 წლის 91,1%*-იანი მაჩვენებელი 2016 წელს 76,4%-ით გააუარესა და 14,7% შეადგინა.

2016 წელს გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა 2015 წელს ყველაზე დახურულ უწყებად დასახელებული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემთხვევაში, რომელმაც საკუთარი მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით 43,7%-ით გააუმჯობესა და 54,5% შეადგინა. 2016 წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის გაუმჯობესებით გამორჩეულია აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო + 27,7%.

ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ტენდენციები

	საჯარო დაწესებულება	2016	ცვლილება	2015	ცვლილება	2014	ცვლილება	2013
1	საქართველოს პარლამენტის აპარატი	100%	+12%	88%	-3,3%	91,3%	+7,9%	83,4%
2	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	100%	0%	100%	0%	100%	0%	100%
3	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	100%	+18%	82%	-10%	92%	+9,4%	82,6%
4	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	100%	0%	100%	0%	100%	+6,2%	93,8%
5	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	100%	0%	100%	+7,7%	92,3%	-7,7%	100%
6	აჭარის ა/რ -ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	100%	0%	100%	+0,1%	99,9%	-0,1%	100%
7	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	100%	0%	100%	0%	100%	+8,3%	91,7%

8	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	99%	-1%	100%	+2,9%	97,1%	-0,3%	97,4%
9	აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	99%	-1%	100%	0%	100%	0%	100%
10	აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	97,5%	-2,5%	100%	+6,3%	93,7%	+13,7%	80%
11	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	96,6%	+5,3%	91,3%	+1,2%	90,1%	-9,9%	100%
12	პრეზიდენტის ადმინისტრაცია	95,9%	-0,6%	96,5%	+15,5%	81%	+31,3%	49,7%
13	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	94,4%	-0,1%	94,5%	+20,5%	74%	-16,8%	90,8%
14	საგარეო საქმეთა სამინისტრო	93,6%	-2%	95,6%	+12,1%	83,5%	-11%	94,5%
15	ენერგეტიკის სამინისტრო	92,5%	-5,1%	97,6%	+13,3%	84,3%	-8,6%	92,9%
16	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	92,2%	-1,8%	94%	+4%	90%	-10%	100%
17	დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	92,1%	-1,1%	93,2%	+13,3%	79,9%	-17,7%	97,6%
18	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	91,9%	-4,5%	96,4%	+15,3%	81,1%	+7,8%	73,3%
19	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	87,5%	+4,2%	83,3%	-12,7%	96%	+2,8%	93,2%
20	ფინანსთა სამინისტრო	81,9%	+27,7%	54,2%	+10,9%	43,3%	-26,7%	70%
21	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	80,8%	+1,5%	79,3%	-2,5%	81,8%	-9,2%	91%
22	თავდაცვის სამინისტრო	78,9%	+2,2%	76,7%	-8,4%	85,1%	-2,6%	87,7%
23	აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	67,1%	-32,9%	100%	+11,8%	88,2%	+7,1%	81,1%
24	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	63,1%	-5,3%	68,4%	-31,1%	99,5%	+15,2%	84,3%
25	აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	57,1%	-8%	65,1%	-23,1%	88,2%	-9,3%	97,5%
26	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	54,5%	+43,7%	10,8%	-50,2%	61%	-36%	97%
27	შინაგან საქმეთა სამინისტრო	33%	-3,8%	36,8%	+10%	26,8%	-37,1%	63,9%
28	მთავრობის ადმინისტრაცია*	14,7%	-76,4%	91,1%	-74,8%	98,1%	+22,5%	75,6%
29	იუსტიციის სამინისტრო	0 %	-30,5%	30,5%	-45,9%	76,4%	-21%	97,4%

- IDFI –ის 2015 წლის ანგარიშში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 91,1%-იანი მაჩვენებლის ნაცვლად ნაჩვენებია იყო 23,3%, ვინაიდან ადმინისტრაციამ კვლევის პერიოდში ყველა უპასუხოდ დატოვებულ მოთხოვნაზე, ინსტიტუტს პასუხი აცნობა 4 თვის დაგვიანებით, ანგარიშის პრეზენტაციის წინა დღეს. შესაბამისად, ვერ მოხდა მიღებული დოკუმენტაციის 2015 წლის ანგარიშში შეფასება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები

2015 წელს განხორციელებული კვლევის შედეგების თანახმად, აღნიშნული ტიპის საჯარო დაწესებულებებს შორის (ამ კატეგორიაში თავმოყრილია როგორც სამინისტროებს დაქვემდებარებული, ასევე დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირები,

მარეგულირებელი კომისიები და სხვა (სულ 99 საჯარო დაწესებულება)) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი 30-მა უწყებამ აჩვენა.

105 საჯარო დაწესებულებიდან, **12-მა უწყებამ** IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. მათ შორის, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული 11 უწყების გარდა, წარმოდგენილია შემოსავლების სამსახური.


სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულების რეიტინგის პირველი ათეული								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	საჯარო სამსახურის ბიურო	26	26	0	0	0	26	100%
2	საკპატენტი	26	26	0	0	0	26	100%
3	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	26	26	0	0	0	26	100%
4	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	24	24	0	0	0	24	100%
5	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	23	23	0	0	0	23	100%
6	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	23	23	0	0	0	23	100%
7	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	23	23	0	0	0	23	100%
8	გარემოს ეროვნული სააგენტო	23	23	0	0	0	23	100%
9	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	22	22	0	0	0	22	100%
10	იურიდიული დახმარების სამსახური	22	22	0	0	0	22	100%
ყველაზე არაანგარიშვალდებული სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	შემოსავლების სამსახური	29	0	0	0	29	0	29

2	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	29	0	0	0	29	0	29
3	საკანონმდებლო მაცნე	29	0	0	0	29	0	29
4	იუსტიციის სახლი	29	0	0	0	29	0	29
5	აღსრულების ეროვნული ბიურო	29	0	0	0	29	0	29
6	მონაცემთა გაცვლის სააგენტო	29	0	0	0	29	0	29
7	სმართ ლოჯიკი	29	0	0	0	29	0	29
8	საქართველოს ეროვნული არქივი	29	0	0	0	29	0	29
9	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	29	0	0	0	29	0	29
10	ნოტარიუსთა პალატა	29	0	0	0	29	0	29
11	იუსტიციის სასწავლო ცენტრი	29	0	0	0	29	0	29
12	დანაშაულის პრევენციის ცენტრი	29	0	0	0	29	0	29

როგორც ზემოთ, აღვნიშნეთ სამინისტროებს დაქვემდებარებულ უწყებებს შორის 2016 წელს ყველაზე დაბალი ანგარიშვალდებულებით გამოირჩნენ იუსტიციის სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები (11 დაწესებულება). მათი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი 2016 წელს შეადგენს 0%-ს. კვლევის მიხედვით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალოდ ყველაზე მაღალი, 100%-იანი მაჩვენებელი, განვლილი წლის მსგავსად, მიიღეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაქვემდებარებულმა ორმა უწყებამ.

2016 წელს განვლილ წელთან შედარებით საშუალო მაჩვენებელი ყველაზე მეტად გააუმჯობესა (+33,7%) შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულმა უწყებებმა - 69,5%.

სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების (სსიპ და საქვეუწყებო) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებლები



**სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
საშუალო მაჩვენებლების ტენდენციები**


საჯარო დაწესებულება		2016	ცვლილება	2015	ცვლილება	2014	ცვლილება	2013
1	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემა	100%	0%	100%	+33,3%	66,7%	-25,7%	92,4%
2	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემა	98,2%	+4,1%	94,1%	+0,4%	93,7%	-2%	95,7%
3	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სისტემა	98,2%	-0,1%	98,3%	13,4%	84,9%	-7,1%	92%
4	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემა	97,2%	+1,9%	95,3%	+13,4%	81,9%	-3,25%	85,1%
5	სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემა	97,2%	-0,4%	97,6%	+11,8%	85,8%	-12,1%	97,9%
6	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემა	97%	-1,20%	98,2%	+3,9%	94,3%	-2,5%	96,8%
7	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემა	89,3%	-1,86%	91,2%	-4,2%	95,4%	1,30%	94,1%
8	განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემა	87,1%	+1,1%	86%	-4,50%	90,5%	-2%	92,5%
9	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემა	86%	+7,8%	78,2%	-10,5%	88,7%	-4,4%	93,1%
10	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა	69,5%	+33,7%	35,8%	+15,3%	20,5%	-68,1%	88,6%
11	ფინანსთა სამინისტროს სისტემა	67,9%	+3,7%	64,2%	-16,6%	80,8%	-8,20%	89%
12	იუსტიციის სამინისტროს სისტემა	0%	-1,5%	1,5%	-44,3%	45,8%	-49,60%	95,4%

სახელმწიფო უნივერსიტეტები

სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აჩვენა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა და საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, ხოლო გაუმჯობესების თვალსაზრისით გამორჩეულია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (პროგრესი 42.3%).

სახელმწიფო უნივერსიტეტების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები

■ 2016 ■ 2015 ■ 2014 ■ 2013




რეგიონული ორგანოები - მერია, გამგეობა, საკრებულო და გუბერნატორის ადმინისტრაცია

151 რეგიონულ ორგანოს შორის 2015 წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აჩვენა 16-მა საჯარო დაწესებულებამ, ხოლო 12-მა უწყებამ 2016 წელს ინსტიტუტის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა.

რეგიონული ორგანოების რეიტინგის პირველი ათეული								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	ქალაქ მცხეთის მერია	24	24	0	0	0	24	100%
2	თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა	23	23	0	0	0	23	100%
3	ქალაქ ზუგდიდის საკრებულო	19	19	0	0	0	19	100%
4	სამეგრელო - ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	19	19	0	0	0	19	100%
5	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	18	18	0	0	0	18	100%
6	სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	18	18	0	0	0	18	100%
7	ქალაქ გორის საკრებულო	17	17	0	0	0	17	100%
8	ქალაქ ახალციხის საკრებულო	17	17	0	0	0	17	100%
9	თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო	16	16	0	0	0	16	100%
10	თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	16	16	0	0	0	16	100%
ყველაზე არა ანგარიშვალდებული რეგიონული ორგანოები								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	ხონის გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
2	წალკის გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
3	შუახევის გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
4	ყვარლის გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
5	ყაზბეგის გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
6	საგარეჯოს გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
7	ბოლნისის გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
8	ასპინძის გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
9	წალკის საკრებულო	23	0	0	0	23	0	0%
10	შუახევის საკრებულო	23	0	0	0	23	0	0%
11	ყაზბეგის საკრებულო	23	0	0	0	23	0	0%
12	ბოლნისის საკრებულო	23	0	0	0	23	0	0%

რეგიონების მიხედვით 2016 წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი გურიის რეგიონში ფიქსირდება - 92.13%, ხოლო ყველაზე დაბალი ქვემო ქართლში - 58.5%. 2016 წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი, განვლილ წელთან შედარებით, ყველაზე მეტად გააუმჯობესეს გურიის რეგიონულმა ორგანოებმა (+13,3%),

რეგიონული ორგანოების (მერია, გამგეობა, საკრებულო, გუბერნატორის ადმინისტრაცია) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებლები




რეგიონული ორგანოების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებლების ტენდენციები

რეგიონი	2016	ცვლილება	2015	ცვლილება	2014	ცვლილება	2013
1 გურია	95,4%	+13,3%	82,1%	+5,8%	76,3%	-10,7%	87%
2 შიდა ქართლი	89,2%	-2,9%	92,1%	+3,9%	88,2%	+15,6%	72,6%
3 რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	86,9%	+2,6%	84,3%	+10,6%	73,7%	-15,3%	89%
4 სამცხე ჯავახეთი	85,4%	9,2%	76,2%	+6,2%	70%	-6,7%	76,7%
5 სამეგრელო - ზემო სვანეთი	82,3%	-0,9%	83,2%	+21%	62,2%	-14,6%	76,8%
6 იმერეთი	81,7%	+7%	74,7%	+4,5%	70,2%	-16,4%	86,6%
7 კახეთი	76,6%	-11,6%	88,2%	+8,7%	79,5%	-3,3%	82,8%

8	აჭარა	76%	-8,3%	84,3%	+28%	56,3%	-25,3%	81,6%
9	მცხეთა-მთიანეთი	73,8%	-5,8%	79,6%	+0,7%	78,9%	-6,1%	85%
10	ქვემო ქართლი	58,5%	-6,7%	65,2%	+14,7%	50,5%	-2,1%	52,6%

რაც შეეხება ქალაქ თბილისის მერიისა და თბილისის საკრებულოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლებს, წლების მიხედვით განსხვავებული ტენდენციები ფიქსირდება. კერძოდ, ქალაქ თბილისის მერიის 2016 წლის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა 87,5% შეადგინა, რაც დაახლოებით 3%-ით ჩამოუვარდება განვლილი წლის მაჩვენებელს.

განსხვავებული მდგომარეობაა თბილისის საკრებულო შემთხვევაში. კერძოდ, 2016 წელს განვლილ პროექტთან შედარებით საკრებულოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 32,7%-ით გაუმჯობესდა და 95% შეადგინა.



სასამართლო პრაქტიკა და მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი განსაკუთრებით პრობლემური საკითხები

შესავალი

მოცემული თავის მიზანს წარმოადგენს მიმოხილულ იქნას 2014 - 2016 წლებში განმავლობაში IDFI-ის მიერ წარმოებული სტრატეგიული სამართალწარმოების დავები. 2016 წლის განმავლობაში IDFI დავას აწარმოებდა შემდეგი უწყებების წინააღმდეგ:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- შემოსავლების სამსახური
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- იუსტიციის სამინისტრო
- თბილისის საქალაქო სასამართლო

დავების მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ პრობლემურია ქვემოთ მითითებულ ისეთი საჯარო ხასიათის ინფორმაციისადმი წვდომა, როგორცაა:

- თანამდებობის პირთა პრემიები და დანამატები
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და საგადასახადო საიდუმლოება
- ადმინისტრაციული ხარჯები
- სამსახურებრივი ელ.ფოსტის საშუალებით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაცია
- სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა

უწყება	დავის საგანი	FOI თარიღი	ეტაპი
1 შინაგან საქმეთა სამინისტრო	თანამდებობის პირთა პრემიები და დანამატები	13.06.2014	იძულებითი აღსრულება
2 შემოსავლების სამსახური	თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და საგადასახადო საიდუმლოება	16.04.2016	გასაჩივრებულა მოპასუხის მიერ სააპელაციო წესით
3 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ადმინისტრაციული ხარჯები	10.03.2015	გასაჩივრებულა მოპასუხის მიერ საკასაციო წესით
4 იუსტიციის სამინისტრო	სამსახურებრივი ელ.ფოსტის საშუალებით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაცია	10.03.2015	გასაჩივრებულა IDFI-ის მიერ სააპელაციო წესით
5 თბილისის საქალაქო სასამართლო	სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა	16.10.2015	გასაჩივრებულა IDFI-ის მიერ სააპელაციო წესით

მოცემულ საქმეთა არსი, საკითხის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო და დავებზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება და დეტალურად არის მიმოხილული ქვემოთ მოცემულ თითოეულ ქვეთავში.

IDFI v საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თანამდებობის პირთა პრემიები და დანამატები²

სტატუსი: დასრულებული;

ეტაპი: იძულებითი აღსრულება

2014 წლის 13 ივნისს IDFI-მ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია თანამდებობის პირთა მიერ მიღებული პრემიებისა და დანამატების შესახებ ცალ-ცალკე თვეების მიხედვით სახელებისა და გვარების მითითებით. უწყებამ უპასუხოდ დატოვა ჩვენი განცხადება და შესაბამისი ადმინისტრაციული საჩივარი, რის შემდეგაც ინსტიტუტმა საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. სასამართლომ IDFI-ის სარჩელი სრულად დააკმაყოფილა, რის შემდეგაც ის გასაჩივრებულ იქნა მოპასუხის მიერ თავდაპირველად სააპელაციო შემდგომ კი საკასაციო წესით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 7 აპრილის განჩინებით³ დაუშვებლად იქნა ცნობილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი და შსს-ს დაევალა გაეცა ინფორმაცია 2013 წელს მინისტრის, მინისტრის მოადგილეებსა და დეპარტამენტის უფროსებზე დარიცხული პრემიებისა და დანამატების შესახებ. უწყებამ უარი თქვა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებაზე, რის გამოც 2016 წლის 22 ივლისს IDFI-მ სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების მიზნით მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს. მიუხედავად იმისა, რომ იძულებითი აღსრულების შესახებ განცხადების შეტანიდან გასულია 2 თვეზე მეტი მოცემული დროისთვის შსს-ს ჯერ კიდევ არ გაუცია მოთხოვნილი ინფორმაცია, ხოლო აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ არ დაწყებულა იძულებითი აღსრულების პროცედურები.

საქმის არსი და სასამართლოს დასაბუთება

² <https://idfi.ge/ge/summary-of-the-case-idfi-vs-mia>

³ <https://idfi.ge/public/upload/courts/MIA%20TAC/MIA%20Supreme%20Court.pdf>

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ პუნქტის მიხედვით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია“. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“. ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს კონსტიტუციით გაწერილ ნორმათა დაკონკრეტება ხდება სზაკ-ით. იგი იძლევა საჯარო ინფორმაციის განმარტებას და თანამდებობის პირებთან მიმართებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემების გარდა.

- თბილისის საქალაქო სასამართლო

2014 წლის 24 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა IDFI-ის საჩივარი.⁴ სასამართლოს განმარტებით, **საზოგადოება უფლებამოსილია გაიგოს თუ რა თანხით აანაზღაურა ამა თუ იმ თანამდებობის პირის საქმიანობა საჯარო დაწესებულებამ. აღნიშნული ინფორმაცია საზოგადოების მაღალი ინტერესის მატარებელია.** სწორედ აქედან გამომდინარე თანამდებობის პირებს ეკისრებათ ვალდებულება შეავსონ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები, ხოლო სზაკ-ის 44.1 მუხლი კი ხაზგასმით მიუთითებს, რომ საჯარო დაწესებულებებს ეკისრებათ ვალდებულება არ გასცენ პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, გარდა თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემებისა. ამასთან გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ **სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი გულისხმობს, თანამდებობრივი სარგოს გარდა, პრემიასა თუ კანონით გათვალისწინებულ სხვა ქონებრივ სარგებელს, რომლის გაცემის უფლებამოსილება საჯარო დაწესებულებას გააჩნია.** შესაბამისად ინფორმაცია თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს, ისევე როგორც მათ მიერ მიღებული პრემიებისა და დანამატების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

- თბილისის სააპელაციო სასამართლო

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის განჩინებით უცვლელი დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.⁵ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები, ამასთან სააპელაციო სასამართლომ დამატებით ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლებას შორის ბალანსის დაცვის მნიშვნელობას. **მოსამართლემ განმარტა, რომ მონაცემთა დაცვის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და კონვენციის საფუძველზე სახელმწიფოს**

⁴ <https://idfi.ge/public/upload/courts/24.12.2014%20TCC%20Decision%20IDFI%20V%20MIA.pdf>

⁵ <https://idfi.ge/public/upload/courts/MIA%20TAC/TACDecision.pdf>

ემლევა შესაძლებლობა საჯარო ინტერესის გათვალისწინებით დაადგინოს ბალანსი აღნიშნულ უფლებასა და ინფორმაციის თავისუფლებას შორის.

მოსამართლე ნინო ქადაგიძის განმარტებით საერთაშორისო აქტები, ისევე როგორც შიდა კანონმდებლობა, ადგენს არა მხოლოდ ინფორმაციის დაცულობის, არამედ ინფორმაციის მიღების უფლებას, რომლისადმი მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

სასამართლომ სრულად გაიზიარა IDFI-ის არგუმენტაცია და აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა სხვა ფიზიკური პირისგან განსხვავებით თანამდებობის პირი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს პერსონალური ინფორმაციის სრული მოცულობით დაცვა. იმ ვითარებაში, როდესაც პირი აცხადებს მზაობას დაიკავოს შესაბამისი თანამდებობა, ამით ის ადასტურებს საკუთარ ნებას ხელმისაწვდომი გახადოს ის ინფორმაცია, რომელიც სხვა პირთან მიმართებაში ექვემდებარება საკანონმდებლო დაცვას.

- საქართველოს უზენაესი სასამართლო

2015 წლის 7 აგვისტოს შსს-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 7 აპრილის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მოსამართლე ნუგზარ სხირტლამის თავმჯდომარეობით დაადგინა, რომ „შინაგან საქმეთა სამინისტროს საჩივარს არ გააჩნდა წარმატების პერსპექტივა, ხოლო საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ კი საქმეზე მიღებული იყო არსებითად სწორი გადაწყვეტილება“.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში წარმოჩენილი პრობლემები

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგაც შსს-ს უარს აცხადებს ინფორმაციის გაცემაზე. იქიდან გამომდინარე, რომ უწყებამ უარი თქვა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებაზე, 2016 წლის 22 ივლისს IDFI-მ სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების მიზნით მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს. 2016 წლის 25 ივლისს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ შსს-ს გაეგზავნა წინადადება სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ ნებაყოფლობით აღსრულებისთვის. უწყება გაფრთხილებულ იქნა, რომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებისთვის თავის არიდების შემთხვევაში აღსრულება განხორციელდებოდა იძულებითი წესით. აღსრულების ეროვნულ ბიუროს არ დაუდგენია კონკრეტული ვადა, რომლის განმავლობაშიც უწყება ვალდებული იქნებოდა გაეცა ინფორმაცია. შედეგად, აღნიშნული მოვლენებიდან ორი თვის გასვლის შემდეგაც შსს კვლავაც თავს არიდებს სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას. მოქმედი კანონმდებლობა არ მოიცავს კონკრეტულ ვადებს დაუყოვნებლივი აღსრულებისთვის. შესაბამისად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვადა უნდა განისაზღვროს გასაცემი ინფორმაციის მასშტაბიდან გამომდინარე. IDFI-ის მოთხოვნას წარმოადგენს თანამდებობის პირთა პრემიებისა და დანამატების შესახებ

ინფორმაციის გაცემა. შესაბამისად ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ შსს-ს კვალავაც უსაფუძვლოდ აჭიანურებს პროცესს. აღნიშნული კი წარმოადგენს არამართო IDFI-ის უფლების დარღვევას მიიღოს საჯარო ხასიათის ინფორმაცია, არამედ ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს - სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას.

IDFI v შემოსავლების სამსახური

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და საგადასახადო საიდუმლოება⁶

სტატუსი: მიმდინარე;

ეტაპი: გასაჩივრებულთა მოპასუხის მიერ სააპელაციო წესით

2015 წლის 16 აპრილს IDFI-მ წერილით მიმართა შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოში არსებული თითოეული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმებისა და შემოწმების ამსახველი დასკვნებისა და ოქმების შესახებ. შემოსავლების სამსახურმა უარი განაცხადა აღნიშნული ინფორმაციის მოწოდებაზე საგადასახადო საიდუმლოების არგუმენტზე მითითებით. აღნიშნული უარი, IDFI-მ გაასაჩივრა ადმინისტრაციული წესით, თუმცა სსიპ - შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭომ უარი თქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე. ამის შემდეგ, IDFI-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2016 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილებით სრულად დააკმაყოფილა IDFI-ს სარჩელი.⁷ შემოსავლების სამსახური არ დაეთანხმა საქმეზე სასამართლოს მსჯელობას და გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

საქმის არსი და სასამართლოს დასაბუთება

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის სპეციალური ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი სახე, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს საგადასახადო შეღავათები და დამატებითი პირობები. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა, თუმცა ინდუსტრიული ზონის შესაქმნელი დოკუმენტაციის შემოწმებაში და მისი ფუნქციონირების დაწყებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და შემოსავლების სამსახური. კერძოდ, შემოსავლების სამსახური, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მიერ ფუნქციონირების დაწყებამდე, ვალდებულია ფიზიკურად შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემოწმებისას დგება ოქმი და გამოიცემა სპეციალური დასკვნა. მხოლოდ ასეთი შემოწმებისა და შემოსავლების სამსახურის მიერ დადებითი დასკვნის

⁶ <https://idfi.ge/ge/free-industrial-zones>

⁷ <https://idfi.ge/public/upload/Davit/Court%20Ruling%20Tax%20secret.pdf>

შემთხვევაში შეუძლია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას დაიწყოს ფუნქციონირება და შესაბამისად, ამოქმედდეს საგადასახადო შეღავათები და დამატებითი პირობები.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საკუთარ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში არსებულ ჩანაწერზე - „გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია“ - და მიაჩნია, რომ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, „ნებისმიერ ინფორმაციაში“ არ შეიძლება მოაზრებულ ყოფილიყო გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული ფინანსებთან.

სასამართლომ დადგინილად მიაჩნია, რომ IDFI-ის მიზანს არ წარმოადგენდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის ორგანიზატორი პირის - გადასახადის გადამხდელად აღრიცხული მეწარმე სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის, მისი გადახდისუნარიანობის ამსახველი ინფორმაციის მიღება და აღნიშნა „ადმინისტრაციულ ორგანოში მოსარჩელის მიერ წარდგენილი განცხადება ინფორმაციის გაცემის თაობაზე, თავისი შინაარსით, არ იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მან გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულ მეწარმესთან დაკავშირებული (რაც მოცემულ ურთიერთობაში შეიძლება წარმოადგენდეს ორგანიზატორს) გადასახადების ადმინისტრირების პროცესში მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია მოითხოვა“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სარჩელი და დაავალა შემოსავლების სამსახურს მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურის მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს დავაზე გადაწყვეტილება მოცემული დროისთვის არ მიუღია.

IDFI v. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ადმინისტრაციული ხარჯები⁸

სტატუსი: მიმდინარე; ეტაპი: გასაჩივრებულია მოპასუხის მიერ საკასაციო წესით

IDFI-იმ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს განცხადებით მიმართა 2015 წლის 10 მარტს და მოითხოვა ინფორმაცია 2014 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ გაწეული სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯის შესახებ. სამინისტრომ დაარღვია კანონმდებლობის მოთხოვნა და უპასუხოდ დატოვა ჩვენი განცხადება, რის შემდეგაც უწყების ქმედება თავდაპირველად ადმინისტრაციული, ხოლო შემდეგ კი სასამართლოს გზით გასაჩივრდა. 2015 წლის 28 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა⁹ IDFI-ის სარჩელი და დაავალა ეკონომიკის სამინისტროს

⁸ <https://idfi.ge/ge/idfi-vs-ministry-of-economy-and-sustainable-development>

⁹ <https://idfi.ge/public/upload/01Nino/IDFI%20v%20MoE%20TCC.pdf>

მოთხოვნილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაცემა. ეკონომიკის სამინისტრომ არ გაიზიარა სასამართლოს პოზიცია, რომელიც სრულიად ეყრდნობოდა არსებული კანონმდებლობის არაორაზროვან ჩანაწერებს, უარი თქვა ინფორმაციის გაცემაზე და სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა. უწყების არგუმენტაცია არც თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა და 2016 წლის 25 მარტის განჩინებით¹⁰ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ხაზგასასმელია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება IDFI-ის მხოლოდ 16 აგვისტოს ჩაბარდა, მაშინ როდესაც სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი 2016 წლის 25 მარტს გამოაცხადა.

საქმის არსი და სასამართლოს დასაბუთება

- თბილისის საქალაქო სასამართლო

თანამდებობის პირთა პრემიებსა და დანამატებზე ისევე, როგორც მათი სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციაზე საუბრისას სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნულ მონაცემებს თავად ამ პირთა პერსონალური მონაცემების მითითებით გააჩნია საჯარო ინფორმაციის მახასიათებლები და დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში იგი უნდა გაიცეს იმ ფორმით, როგორც მას განმცხადებელი მოითხოვს.

უწყების აუდიტორული შემოწმების ასლებზე მსჯელობისას, სასამართლო გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ აღნიშნული წამოადგენს საჯარო ინფორმაციას, თუმცა უნდა გაიცეს პერსონალური მონაცემების გამჟღავნების გარეშე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სასამართლო გადაწყვეტილებით ასევე დადგენილია, რომ საჯარო ხასიათის ინფორმაციას წარმოადგენს ისეთი მონაცემები, რომელიც დაკავშირებულია გაწეულ წარმომადგენლობით, სამივლინებო და როუმინგულ ხარჯებთან ისევე, როგორც ინფორმაცია ჩანაცვლებული ავტომობილებისა და კომპიუტერული ტექნიკის შესახებ.

- თბილისის სააპელაციო სასამართლო

თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემების გამჟღავნებაზე საუბრისას სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე (2016 წლის 7 აპრილის განჩინება #ბს-425-418(კ-15)), რომლის თანახმადაც „საჯარო პირების მონაცემთა დაცვის რეჟიმი განსხვავდება სხვა პირების სამართლებრივი დაცვის რეჟიმისგან. თანამდებობის პირთან დაკავშირებით პირადი სფეროს შემცველი ინფორმაციის საჯაროობა ემსახურება იმ მიზანს, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა. ამდენად, მომატებული საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე თანამდებობის პირის მონაცემები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად ღიაა.“

¹⁰ <https://idfi.ge/public/upload/01Nino/IDFI%20v%20MoE%20Appelate%20Court.pdf>

თბილისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თანამდებობის პირზე დარიცხულ პრემიას/დანამატს, პრემია/დანამატის გაცემის საფუძველს - სამართლებრივ აქტს, ასევე თანამდებობის პირთა სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციას, თავად ამ პირის პერსონალური მონაცემების მითითებით გააჩნია საჯარო ინფორმაციის მახასიათებლები და დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში იგი უნდა გაიცეს იმ ფორმით, როგორც მას განმცხადებელი მოითხოვს.

უწყების მიერ გაწეულ ისეთი ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ მსჯელობისას, როგორცაა სამივლინებო, როუმინგული და წარმომადგენლობითი ხარჯები, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მიხედვით კანონის ერთ-ერთი მიზანი და ფუძემდებლური პრინციპი სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფაა. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საბიუჯეტო პროცესის ძირითადი პრინციპი გამჭვირვალობაა, რომელიც გულისხმობს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის გამოქვეყნებას, ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ ანგარიშგება და კონტროლი საბიუჯეტო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ყველას აქვს უფლება იცოდეს საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები.

IDFI v იუსტიციის სამინისტრო

სამსახურებრივი ელ. ფოსტის საშუალებით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაცია

სტატუსი: მიმდინარე;

ეტაპი: გასაჩივრებულია IDFI-ის მიერ სააპელაციო წესით

2015 წლის 10 მარტს IDFI-ის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გაეგზავნა წერილი რომლითაც მოთხოვნილ იქნა სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაცია, მათ შორის მონაცემები 2015 წელს უწყების ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუღებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები. უწყებამ უპასუხოდ დატოვა ჩვენი წერილი. IDFI-იმ საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. დავის საგანს საქმეში წარმოადგენდა გამარტივებულ შესყიდვებთან დაკავშირებით ელ. ფოსტით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაციის გაცემა. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა IDFI-ის სარჩელი. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით იქნა გასაჩივრებული.

საქმის არსი და სასამართლოს დასაბუთება

საჯარო მოხელეთა მიერ ელ.ფოსტის საშუალებით მიღებული და გაგზავნილი სამსახურეობრივი ინფორმაციის საჯაროობის საკითხი უკვე მრავალი წელია აღარ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა იძლევა საჯარო ინფორმაციის ყოვლისმომცველ განმარტებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, **ელექტრონული ინფორმაცია**, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები. შესაბამისად, უდავოა, რომ დოკუმენტს შესაძლებელია წარმოადგენდეს არამარტო მატერიალური ფორმით ბეჭდითა და ხელმოწერით არსებული ტექსტი არამედ ელექტრონული ინფორმაციაც. სამწუხაროა, რომ მიუხედავად კანონმდებლობის ერთმნიშვნელოვანი ჩანაწერისა, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა IDFI-ის სარჩელი და მიიჩნია, რომ ელ.ფოსტით განხორციელებული მიმოწერა არ ხვდება სზაკ-ით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციის განმარტების ქვეშ.

ვფიქრობთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება სადავო საკითხის მარეგულირებელი ნორმების არასწორ ინტერპრეტაციას. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საჯარო ელექტრონული ინფორმაცია გაგებულია, როგორც ელექტრონული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც უნდა წარმოშობდეს სამართლებრივ შედეგებს. შესაბამისად, სასამართლო არალეგიტიმურად ავიწროვებს საჯარო ინფორმაციის იმ ცნებას, რომელიც დადგენილია სზაკ-ით. მოქმედი კანონმდებლობა ინფორმაციის საჯაროდ მიჩნევისთვის არც ერთ შემთხვევაში არ უკავშირებს მას სამართლებრივი შედეგის წარმოშობის ფაქტს.

გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნულია, რომ „საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს დოკუმენტის მხოლოდ საბოლოო სახე, რომელიც აისახება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში“. **დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა არის საქმეთა ადმინისტრირების ერთერთი ფორმა და იგი ვერ იქნება საჯარო ინფორმაციის ბუნების განმსაზღვრელი.** ამდენად, მიუხედავად იმისა არის თუ არა კონკრეტული ინფორმაცია ასახული დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში, საჯარო ორგანოს ეკისრება ინფორმაციის გაცემის ვალდებულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება IDFI-ის მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით. ვიმედოვნებთ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო არ გაიზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას და საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას საკუთარ მსჯელობას დააფუძნებს არსებული კანონმდებლობის მკაფიო ჩანაწერებს.

IDFI v თბილისის საქალაქო სასამართლო
სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა

2015 წლის 16 ოქტომბერს IDFI-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა განცხადებით და მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილებების ასლები ყოფილ მაღალ თანამდებობის პირებთან დაკავშირებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს უფროსი კონსულტანტის წერილით IDFI-ის უარი ეთქვა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე პერსონალური მონაცემების დაცვის არგუმენტზე მითითებით. აღნიშნული გადაწყვეტილება IDFI-იმ გაასაჩივრა თავდაპირველად ადმინისტრაციული შემდეგ კი სასამართლო წესით. **თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა IDFI-ის სარჩელი და მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ისეთი მაღალი თანამდებობის პირებთან დაკავშირებით, როგორცაა მაგალითად საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, არ უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.** თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება IDFI-იმ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.

საქმის არსი და სასამართლოს დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განმტკიცებულია საქმის განხილვის საქვეყნოობის პრინციპი. კერძოდ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის თანახმად სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხოლო **სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ.** მსგავს ჩანაწერს შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 13-ე მუხლიც. ამასთან აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 13 პრიმა მუხლი ადგენს სასამართლო სხდომების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქების სტანდარტებს. აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერის საფუძველზე შესაძლებელია, პროცესების ვიდეო, აუდიო ჩაწერის განხორციელება სხვადასხვა მაუწყებლის მიერ, და აღნიშნული ჩანაწერის ტრანსლაცია. აღნიშნული უზრუნველყოფს პროცესზე მიმდინარე მოვლენებზე წვდომას არამარტო იმ პირთათვის, რომლებიც ესწრებიან პროცესს არამედ ზოგადად საზოგადოების ფართო წრეებისთვის. შესაბამისად ცხადია, რომ არსებული კანონმდებლობა ადგენს სხდომათა საჯაროობისა და გადაწყვეტილებათა სარეზოლუციო ნაწილების ხელმისაწვდომობის მაღალ სტანდარტს, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა სამწუხაროა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა “პერონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და მიიჩნია, რომ საზოგადოებისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი სასამართლოს გადაწყვეტილებები იმ საქმეებზე, როლებშიც ბრალდებულს/მსჯავრდებულს წარმოადგენენ ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები.

მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, როდესაც ისინი ასრულებენ საკუთარ საჯარო უფლებამოსილებას აკისრიათ თმენის ვალდებულება. ბუნებრივია, როდესაც კონკრეტული პირი აცხადებს თანხმობას ეკავოს მაღალი თანამდებობა ის ათვითცნობიერებს, რომ განსხვავებით საზოგადოების სხვა წევრებისგან

მის შესახებ პერსონალური მონაცემები შესაძლებელია ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისთვის. აღნიშნულ მსჯელობას ავითარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში *Hanniver v. Germany*.¹¹ სასამართლომ მოცემულ საქმეში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია საზოგადოების სხვა წევრებისგან გავმიჯნოთ პოლიტიკური საჯარო ფიგურები. რიგით მოქალაქეებს უფლება აქვთ სრული სახით მოითხოვონ საკუთარი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემა, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე“. გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ აღნიშნული განსაკუთრებით ეხება პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის საკითხს ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება. კერძოდ საქმეში *Pretto & Others v Italy* სასამართლოს მიერ ხაზგასმულ იქნა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ სხდომათა საჯაროობის პრინციპს ეწინააღმდეგება ისეთი პრაქტიკა, როდესაც სამართალწარმოება სასამართლოში (*administration of justice*) მიმდინარეობს ფარულად შესაბამისი საჯარო კონტროლის არარსებობის პირობებში. გადაწყვეტილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სამართალწარმოების საჯაროობის პრინციპის დაცვა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ნდობის არსებობას მმართველობის სასამართლო შტოს მიმართ. საქმეებში *Werner v Austria* და *Szucs v Austria* სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ ავსტრიამ დაარღვია უფლება სამართლიან სასამართლოზე, როდესაც არ გახადა ხელმისაწვდომი სასამართლოს გადაწყვეტილება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის და ნაცვლად ამისა მასზე წვდომა მხოლოდ პირთა შეზღუდულ წრეს მიანიჭა (მხარეები, მათი დამცველები).

შესაბამისად, ინსტიტუტს მიუღებლად მიაჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს პოზიცია, როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონზე მითითებით იზღუდება წვდომა მაღალი საჯარო ინტერესის მქონე სასამართლო გადაწყვეტილებებზე და საფრთხის წინაშე დგება გამჭვირვალე და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობა.

დასკვნა

IDFI-ის სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საქართველოში არსებობს მნიშვნელოვანი დაბრკოლებები ისეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, როგორც არის:

¹¹ <http://194.242.234.211/documents/10160/2055471/EHCR+-CASE+OF+VON+HANNOVER+v.+GERMANY+No.+2.pdf>

- **მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები** - საერთო სასამართლოები უარს აცხადებენ საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადონ გადაწყვეტილებები მაგალითად ისეთი მაღალი საჯარო ინტერესის მქონე დავებზე, როგორც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეა. აღნიშნული პრაქტიკა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ სხდომათა საქვეყნოობის პრინციპს. გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო არ მიმართავს არსებულ კერძო და საჯარო ინტერესს შორის ბალანსის ტესტს და ნაცვლად ამისა საკუთარ მსჯელობას მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინტერესზე აფუძნებს;
- **ელ. ფოსტის საშუალებით სამსახურებრივი საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოებული კორესპონდენცია** - დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში უკვე მრავალი წლის განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, საქართველოში საჯარო დაწესებულებები ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ სამსახურებრივი ელ. ფოსტის საშუალებით წარმოებული კორესპონდენციის საჯაროობის საკითხს. სამწუხაროა, რომ საჯარო დაწესებულებათა პოზიციას იზიარებს სასამართლოც, როდესაც აღნიშნავს, რომ „საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს დოკუმენტის მხოლოდ საბოლოო სახე, რომელიც აისახება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში“. მიუღებელია, როდესაც სასამართლო ავიწროვებს საჯარო ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცნებას და ინფორმაციის საჯაროდ მიჩნევისთვის აუცილებელ კრიტერიუმად ადგენს მის ჩართულობას დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემაში.
- **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება** - ვფიქრობთ განსაკუთრებით სამწუხაროა, როდესაც საჯარო დაწესებულებები უარს აცხადებენ გასცენ საჯარო ინფორმაცია გრძელვადიანი სასამართლო პროცესების დასრულების შემდეგაც, როდესაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით მათ დაკისრებული აქვთ პირდაპირი ვალდებულება გასცენ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. ინფორმაციის მისაღებად აუცილებელი ხდება იძულებითი აღსრულების პროცედურების დაწყება, თუმცა როგორც არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, საჯარო დაწესებულებები ამ ეტაპზეც განაგრძობენ პროცესის გაჭიანურებას. აღნიშნული წარმოადგენს არამართო ყოველი კონკრეტული პირის უფლების დარღვევას თავისუფლად მიიღოს საჯარო ინფორმაცია არამედ ასევე შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ნიშნებს;
- **ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია შეიცავდეს საგადასახადო საიდუმლოებას** - საჯარო დაწესებულებები საგადასახადო საიდუმლოების არგუმენტზე მითითებით უარს აცხადებენ ნებისმიერი ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს გადასახადის გადამხდელთან. შესაბამისად საგადასახადო

საიდუმლოების არგუმენტი ხშირად გამოიყენება, როგორც მექანიზმი შეიზღუდოს წვდომა ისეთი მონაცემებისადმი, რომელიც საკუთარი არსით წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. მოცემულ საკითხზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა პრეცედენტული გადაწყვეტილება, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საგადასახდო საიდუმლოებაში არ შეიძლება მოაზრებულ იყოს გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული ფინანსებთან.

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს, საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმების არ არსებობას. საქართველოს ხელისუფლების ვალდებულება მიიღოს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ახალი კანონი და დანერგოს ინფორმაციის თავისუფლების დაცვის ახალი ქმედითი მექანიზმები გათვალისწინებულია არა ერთი სამოქმედო გეგმითა თუ ინიციატივით. 2015-2016 წლების საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება გადასინჯოს ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა და წარადგინოს საქართველოს პარლამენტში კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ.¹² 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების ვალდებულებას.¹³ მსგავსი ვალდებულება აიღო საქართველოს ხელისუფლებამ ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმითაც 2014-2015 წლებისთვის.¹⁴ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა შეიცავს იუსტიციის სამინისტროს მიერ ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტის შემუშავებისა და მთავრობისთვის წარდგენის ვალდებულებას.¹⁵ მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა დღეის მდგომარეობით საქართველოს პარლამენტში ჯერ კიდევ არ არის ინიცირებული ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს ახალი კანონის პროექტი. მეტიც, მოცემული დროისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ჯერ კიდევ არ არის საჯარო განხილვებისთვის გამოქვეყნებული ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტი.

¹² <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/174>

¹³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315211>

¹⁴ <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2FOGP%2FOGP%20AP%202014-2015.pdf>

¹⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3222307>

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი 2016 წელს

N	საჯარო დაწესებულება	მთხოვნა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უბასუხი	ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა%
1	საქართველოს პარლამენტის აპარატი	31	31	0	0	0	31	100%
2	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	30	30	0	0	0	30	100%
3	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	26	26	0	0	0	26	100%
4	საჯარო სამსახურის ბიურო	26	26	0	0	0	26	100%
5	საქპატენტი	26	26	0	0	0	26	100%
6	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	26	26	0	0	0	26	100%
7	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	24	24	0	0	0	24	100%
8	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	24	24	0	0	0	24	100%
9	ქალაქ მცხეთის მერია	24	24	0	0	0	24	100%
10	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	23	23	0	0	0	23	100%
11	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	23	23	0	0	0	23	100%
12	ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	23	23	0	0	0	23	100%
13	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	23	23	0	0	0	23	100%
14	გარემოს ეროვნული სააგენტო	23	23	0	0	0	23	100%
15	თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა	23	23	0	0	0	23	100%
16	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	22	22	0	0	0	22	100%
17	იურიდიული დახმარების სამსახური	22	22	0	0	0	22	100%
18	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	21	21	0	0	0	21	100%
19	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	21	21	0	0	0	21	100%
20	სტატისტიკის ეროვნული სამსახური	21	21	0	0	0	21	100%
21	აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	21	21	0	0	0	21	100%
22	ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	21	21	0	0	0	21	100%
23	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	20	20	0	0	0	20	100%
24	სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	20	20	0	0	0	20	100%
25	ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი	20	20	0	0	0	20	100%

26	ეროვნული მუზეუმი	20	20	0	0	0	20	100%
27	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	19	19	0	0	0	19	100%
28	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	19	19	0	0	0	19	100%
29	კონკურენციის სააგენტო	19	19	0	0	0	19	100%
30	ქალაქ ზუგდიდის საკრებულო	19	19	0	0	0	19	100%
31	სამეგრელო -ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	19	19	0	0	0	19	100%
32	ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი	18	18	0	0	0	18	100%
33	ხობის საკრებულო	18	18	0	0	0	18	100%
34	სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	18	18	0	0	0	18	100%
35	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	17	17	0	0	0	17	100%
36	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი	17	17	0	0	0	17	100%
37	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო- აკრედიტაციის ცენტრი	17	17	0	0	0	17	100%
38	ეროვნული სამენი მეურნეობა	17	17	0	0	0	17	100%
39	პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	17	17	0	0	0	17	100%
40	ქალაქ გორის საკრებულო	17	17	0	0	0	17	100%
41	ქალაქ ახალციხის საკრებულო	17	17	0	0	0	17	100%
42	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	17	17	0	0	0	17	100%
43	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	17	17	0	0	0	17	100%
44	თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო	16	16	0	0	0	16	100%
45	თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	16	16	0	0	0	16	100%
46	თვითმმართველი თემი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	16	16	0	0	0	16	100%
47	უშიშროების საბჭოს აპარატი	16	16	0	0	0	16	100%
48	ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი	16	16	0	0	0	16	100%
49	ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი	15	15	0	0	0	15	100%
50	ქარელის საკრებულო	14	14	0	0	0	14	100%
51	ჭიათურის საკრებულო	14	14	0	0	0	14	100%
52	ყვარლის საკრებულო	13	13	0	0	0	13	100%
53	ბაღდათის საკრებულო	12	12	0	0	0	12	100%
54	ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი	11	11	0	0	0	11	100%
55	ონის საკრებულო	10	10	0	0	0	10	100%
56	ქარელის გამგეობა	25	25	0	0	0	0	99%

57	ქალაქ ზუგდიდის მერია	25	25	0	0	0	0	99%
58	წყალტუბოს გამგეობა	23	23	0	0	0	0	99%
59	ჩოხატაურის გამგეობა	22	22	0	0	0	0	99%
60	ცაგერის გამგეობა	21	21	0	0	0	0	99%
61	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	20	20	0	0	0	0	99%
62	აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	20	20	0	0	0	0	99%
63	რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორის ადმინისტრაცია	17	17	0	0	0	0	99%
64	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	15	15	0	0	0	0	99%
65	თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	14	14	0	0	0	0	99%
66	დმანისის საკრებულო	11	11	0	0	0	0	99%
67	ღვინის ეროვნული სააგენტო	24	23	1	0	0	24	97,92%
68	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი	24	23	1	0	0	24	97,92%
69	ქედის გამგეობა	24	23	1	0	0	24	97,92%
70	თვითმმართველი თემი ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა	24	23	1	0	0	24	97,92%
71	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	23	22	1	0	0	23	97,83%
72	კასპის გამგეობა	23	22	1	0	0	23	97,83%
73	ტყიბულის გამგეობა	23	22	1	0	0	23	97,83%
74	საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	22	21	1	0	0	22	97,73%
75	ქალაქ გორის მერია	22	21	1	0	0	22	97,73%
76	ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	21	20	1	0	0	21	97,62%
77	ეროვნული ბანკი	21	20	1	0	0	21	97,62%
78	აჭარის ა/რ-ის მთავრობა	20	19	1	0	0	20	97,50%
79	სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	19	18	1	0	0	19	97,37%
80	გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	19	18	1	0	0	19	97,37%
81	ქალაქ ბათუმის საკრებულო	18	17	1	0	0	18	97,22%
82	თეთრიწყაროს გამგეობა	28	27	1	0	0	0	97,21%
83	ხაშურის გამგეობა	25	24	1	0	0	0	97,00%
84	ქობულეთის გამგეობა	24	23	1	0	0	0	96,92%
85	ჭიათურის გამგეობა	24	23	1	0	0	0	96,92%
86	თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	23	22	1	0	0	0	96,83%
87	ქალაქ ოზურგეთის მერია	23	22	1	0	0	0	96,83%
88	ბაღდათის გამგეობა	22	21	1	0	0	0	96,73%
89	თერჯოლის საკრებულო	15	14	1	0	0	15	96,67%
90	ქედის საკრებულო	15	14	1	0	0	15	96,67%
91	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	21	20	1	0	0	0	96,62%
92	საგარეჯოს საკრებულო	14	13	1	0	0	14	96,43%
93	გურიის გუბერნატორის ადმინისტრაცია	19	18	1	0	0	0	96,37%
94	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	18	17	1	0	0	1	96,22%

95	ხულოს საკრებულო	13	12	1	0	0	13	96,15%
96	საავტომობილო გზების დეპარტამენტი	25	23	2	0	0	25	96,00%
97	სახალხო დამცველის აპარატი	25	23	2	0	0	25	96,00%
98	ცენტრალური საარჩევნო კომისია	25	24	0	1	0	25	96,00%
99	პრეზიდენტის ადმინისტრაცია	30	28	2	0	0	8	95,90%
100	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	16	15	1	0	0	0	95,88%
101	მეწარმეობის განვითარების სააგენტო	23	21	2	0	0	23	95,65%
102	საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	23	21	2	0	0	22	95,65%
103	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო	22	20	2	0	0	22	95,45%
104	ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	21	19	2	0	0	21	95,24%
105	გურჯაანის საკრებულო	13	12	1	0	0	0	95,15%
106	თბილისის საკრებულო	20	18	2	0	0	20	95,00%
107	თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა	24	23	0	0	1	0	94,88%
108	ქალაქ ახალციხის მერია	24	23	0	0	1	0	94,88%
109	თვითმმართველი თემი მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	24	22	2	0	0	0	94,83%
110	საფინანსო ანალიტიკური სამსახური	19	18	0	0	1	18	94,74%
111	დუშეთის გამგეობა	23	21	2	0	0	0	94,65%
112	სურსათის ეროვნული სააგენტო	28	25	3	0	0	28	94,64%
113	გურჯაანის გამგეობა	22	20	2	0	0	0	94,5%
114	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	22	20	2	0	0	0	94,45%
115	ქალაქ მცხეთის საკრებულო	11	10	1	0	0	0	94,45%
116	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	27	24	3	0	0	27	94,44%
117	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	18	16	2	0	0	18	94,44%
118	ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი	18	16	2	0	0	18	94,44%
119	დუშეთის საკრებულო	18	17	0	0	1	17	94,44%
120	ქალაქ ფოთის საკრებულო	18	17	0	0	1	17	94,44%
121	ქალაქ ქუთაისის საკრებულო	18	16	2	0	0	18	94,44%
122	ცაგერის საკრებულო	16	14	2	0	0	16	93,75%
123	საგარეო საქმეთა სამინისტრო	28	25	3	0	0	0	93,64%
124	ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	23	21	1	1	0	23	93,48%
125	ლანჩხუთის გამგეობა	23	20	3	0	0	23	93,48%
126	ნინოწმინდის საკრებულო	15	14	0	0	1	15	93,33%
127	ხაშურის საკრებულო	15	13	2	0	0	15	93,33%
128	ხელვაჩაურის საკრებულო	15	13	2	0	0	15	93,33%
129	თვითმმართველი თემი ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო	15	13	2	0	0	15	93,33%
130	თეთრიწყაროს საკრებულო	17	15	2	0	0	0	93,12%

131	ჩოხატაურის საკრებულო	17	15	2	0	0	0	93,12%
132	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	17	15	2	0	0	0	93,12%
133	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	21	18	3	0	0	21	92,86%
134	ადიგენის საკრებულო	14	12	2	0	0	14	92,86%
135	საჩხერის საკრებულო	14	12	2	0	0	14	92,86%
136	დედოფლისწყაროს საკრებულო	16	14	2	0	0	0	92,75%
137	ქალაქ ოზურგეთის საკრებულო	16	14	2	0	0	0	92,75%
138	ლაგოდეხის გამგეობა	24	21	3	0	0	0	92,75%
139	ენერგეტიკის სამინისტრო	20	17	3	0	0	20	92,50%
140	ლანჩხუთის საკრებულო	15	13	2	0	0	0	92,33%
141	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	15	13	2	0	0	0	92,33%
142	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	22	19	3	0	0	0	92,18%
143	დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	19	17	1	1	0	19	92,11%
144	მუნიციპალური განვითარების ფონდი	19	16	3	0	0	19	92,11%
145	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	21	19	1	1	0	0	91,90%
146	ლენტეხის გამგეობა	21	18	3	0	0	0	91,86%
147	ასპინძის საკრებულო	14	12	2	0	0	0	91,86%
148	თვითმმართველი თემი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო	14	12	2	0	0	14	91,86%
149	ფინანსური მონიტორინგის სამსახური	18	15	3	0	0	18	91,67%
150	რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	18	15	3	0	0	18	91,67%
151	ხარაგაულის საკრებულო	12	11	0	0	1	11	91,67%
152	ქალაქ თელავის საკრებულო	18	16	1	0	1	17	91,67%
153	თერჯოლის გამგეობა	24	21	2	0	1	23	91,67%
154	წალენჯიხის გამგეობა	23	21	0	0	2	21	91,30%
155	ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	22	19	2	1	0	22	90,91%
156	ქალაქ ამბროლაურის საკრებულო	11	10	0	0	1	10	90,91%
157	ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	21	18	2	1	0	21	90,48%
158	ზესტაფონის საკრებულო	15	13	1	0	1	14	90,00%
159	სიღნაღის გამგეობა	22	19	2	1	0	0	89,95%
160	ზესტაფონის გამგეობა	24	21	1	0	2	22	89,58%
161	ფინანსთა სამინისტროს აკადემია	19	17	0	0	2	17	89,47%
162	დაზვერვის სამსახური	19	17	0	1	1	18	89,47%
163	ბორჯომის საკრებულო	14	11	3	0	0	14	89,29%
164	ნინოწმინდის გამგეობა	23	19	3	0	1	22	89,13%
165	ქალაქ ქუთაისის მერია	25	20	5	0	0	0	89,00%
166	თვითმმართველი თემი გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა	20	16	4	0	0	0	89,00%
167	შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია	18	14	4	0	0	18	88,89%
168	ადიგენის გამგეობა	24	21	1	0	2	0	88,67%
169	ჩხოროწყუს გამგეობა	24	19	5	0	0	0	88,58%
170	სენაკის საკრებულო	17	13	4	0	0	17	88,24%

171	ქობულეთის საკრებულო	17	15	0	0	2	15	88,24%
172	მარტვილის გამგეობა	23	18	5	0	0	0	88,13%
173	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	24	21	0	1	2	23	87,50%
174	თბილისის მერია	28	21	7	0	0	28	87,50%
175	დაცვის პოლიცია	21	18	1	1	1	0	87,19%
176	თვითმმართველი თემი მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	15	13	0	0	2	13	86,67%
177	სენაკის გამგეობა	22	17	4	1	0	22	86,36%
178	წალენჯიხის საკრებულო	18	15	1	0	2	16	86,11%
179	მარნეულის საკრებულო	15	13	0	0	2	0	85,80%
180	თიანეთის საკრებულო	15	12	2	0	1	0	85,73%
181	სამტრედიის გამგეობა	24	19	3	0	2	22	85,42%
182	საჩხერის გამგეობა	24	20	1	0	3	21	85,42%
183	მარტვილის საკრებულო	17	14	1	0	2	15	85,29%
184	სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი	17	13	3	0	1	16	85,29%
185	ბორჯომის გამგეობა	25	19	5	0	1	0	85,04%
186	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	20	16	2	0	2	20	85,00%
187	ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	17	14	1	0	2	0	84,41%
188	მესტიის გამგეობა	25	19	4	0	2	23	84,00%
189	ეროვნული სატყეო სააგენტო	27	20	5	0	2	25	83,33%
190	ხელვაჩაურის გამგეობა	24	19	2	0	3	21	83,33%
191	ახალქალაქის საკრებულო	15	11	3	0	1	14	83,33%
192	კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	18	13	4	0	1	17	83,33%
193	ვანის გამგეობა	22	18	1	0	3	0	83,23%
194	თიანეთის გამგეობა	22	15	7	0	0	0	83,09%
195	შსს აკადემია	20	16	1	3	0	20	82,50%
196	დედოფლისწყაროს გამგეობა	24	19	2	0	3	0	82,46%
197	პროკურატურა	24	18	4	0	2	0	82,42%
198	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	18	13	4	0	1	0	82,39%
199	ფინანსთა სამინისტრო	29	22	4	0	3	2	81,90%
200	ქალაქ ბათუმის მერია	23	18	2	0	3	0	81,74%
201	ახალქალაქის გამგეობა	23	18	2	0	3	0	81,74%
202	მესტიის საკრებულო	20	15	3	0	2	0	81,60%
203	გარდაბნის გამგეობა	25	20	1	0	4	0	81,16%
204	კომუნიკაციების ეროვნული კომისია	22	14	8	0	0	0	80,82%
205	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	26	19	4	2	1	25	80,77%
206	საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური	18	14	1	3	0	18	80,56%
207	ახმეტის საკრებულო	18	14	1	0	3	15	80,56%
208	ხულოს გამგეობა	24	18	3	0	3	0	80,38%
209	ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი	16	11	4	0	1	0	80,31%
210	გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი - სსიპ „112“	21	14	6	0	1	0	80,00%
211	თავდაცვის სამინისტრო	27	20	3	0	4	3	78,90%

212	სავაჭრო სამრეწველო პალატა	22	16	3	0	3	0	78,68%
213	ონის გამგეობა	23	18	0	0	5	18	78,26%
214	სასაზღვრო პოლიცია	19	12	6	0	1	0	78,00%
215	იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	20	14	3	0	3	17	77,50%
216	მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	20	15	1	0	4	16	77,50%
217	ქალაქ რუსთავის მერია	23	17	2	0	4	0	77,43%
218	სიღნაღის საკრებულო	20	14	3	0	3	0	76,65%
219	მარნეულის გამგეობა	25	16	6	0	3	0	75,12%
220	ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია	18	13	1	0	4	14	75,00%
221	ვანის საკრებულო	16	11	2	0	3	0	74,19%
222	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	20	13	4	0	3	0	74,15%
223	ჩხორიწყის საკრებულო	16	10	4	0	2	0	74,13%
224	გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	17	11	3	0	3	14	73,53%
225	ტყიბულის საკრებულო	11	8	0	0	3	8	72,73%
226	დმანისის გამგეობა	22	16	0	0	6	0	72,00%
227	ქალაქ ამბროლაურის მერია	23	16	1	0	6	17	71,74%
228	ქალაქ რუსთავის საკრებულო	18	12	2	0	4	0	71,44%
229	ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური	17	10	4	0	3	14	70,59%
230	აბაშის გამგეობა	24	16	2	0	6	0	70,08%
231	ქალაქ თელავის მერია	23	14	4	0	5	18	69,57%
232	ლენტეხის საკრებულო	16	10	2	0	4	12	68,75%
233	აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	28	18	2	0	8	0	67,14%
234	სოციალური მომსახურების სააგენტო	31	20	2	0	9	0	67,03%
235	დაცული ტერიტორიების სააგენტო	25	11	11	0	3	22	66,00%
236	ხარაგაულის გამგეობა	25	15	3	0	7	18	66,00%
237	შსს მომსახურების სააგენტო	28	18	0	0	10	0	63,64%
238	ახმეტის გამგეობა	25	15	2	0	8	0	63,32%
239	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	29	17	3	0	9	0	63,10%
240	საინვესტიციო სააგენტო	27	16	2	0	9	18	62,96%
241	თვითმმართველი თემი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	23	13	3	0	7	0	62,35%
242	ხონის საკრებულო	15	7	4	0	4	0	59,27%
243	სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	19	9	4	6	0	0	57,21%
244	აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	28	16	0	0	12	16	57,14%
245	საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი	15	8	1	0	6	9	56,67%
246	ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო	23	13	0	0	10	0	55,96%
247	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	29	13	6	1	9	0	54,52%
248	აბაშის საკრებულო	19	9	2	0	8	11	52,63%
249	სახელმწიფო ხაზინა	20	9	3	0	8	12	52,50%
250	ლაგოდეხის საკრებულო	19	10	0	0	9	0	52,11%
251	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	29	15	0	0	14	15	51,72%
252	გარდაბნის საკრებულო	19	9	1	0	9	0	49,47%

253	სამტრედიის საკრებულო	20	8	3	0	9	11	47,50%
254	წყალტუბოს საკრებულო	22	10	0	0	12	0	45,00%
255	ხობის გამგეობა	25	11	0	0	14	0	43,56%
256	შინაგან საქმეთა სამინისტრო	48	15	2	0	31	1	32,98%
257	კასპის საკრებულო	17	2	5	0	10	0	26,06%
258	შსს - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	29	5	5	0	19	0	25,52%
259	ქალაქ ფოთის მერია	25	4	0	0	21	4	16,00%
260	მთავრობის ადმინისტრაცია	27	4	0	0	23	0	14,67%
261	ბოლნისის საკრებულო	23	0	0	0	23	0	0%
262	ყაზბეგის საკრებულო	23	0	0	0	23	0	0%
263	შუახევის საკრებულო	23	0	0	0	23	0	0%
264	წალკის საკრებულო	23	0	0	0	23	0	0%
265	ასპინძის გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
266	ბოლნისის გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
267	საგარეჯოს გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
268	ყაზბეგის გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
269	ყვარლის გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
270	შუახევის გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
271	წალკის გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
272	ხონის გამგეობა	25	0	0	0	25	0	0%
273	იუსტიციის სამინისტრო	27	0	0	0	27	0	0%
274	შემოსავლების სამსახური	29	0	0	0	29	0	0%
275	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	29	0	0	0	29	0	0%
276	საკანონმდებლო მაცნე	29	0	0	0	29	0	0%
277	იუსტიციის სახლი	29	0	0	0	29	0	0%
278	აღსრულების ეროვნული ბიურო	29	0	0	0	29	0	0%
279	მონაცემთა გაცვლის სააგენტო	29	0	0	0	29	0	0%
280	სმართ ლოჯიკი	29	0	0	0	29	0	0%
281	საქართველოს ეროვნული არქივი	29	0	0	0	29	0	0%
282	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	29	0	0	0	29	0	0%
283	ნოტარიუსთა პალატა	29	0	0	0	29	0	0%
284	იუსტიციის სასწავლო ცენტრი	29	0	0	0	29	0	0%
285	დანაშაულის პრევენციის ცენტრი	29	0	0	0	29	0	0%